# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 1 ივლისი, 2014 წელი.

№125 (7506)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჯორებით ბუტთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# ავშვენდით, ბიძია-ბაბუა, ავშვენდით!

3

# ოპა, ოპა, ოპა, ამერიკა, ევროპა!

4

ხმა ღვთისა, ხმა ერისა...

## ილია მეორე: ქართული მიწა, წყალი, წყაროს წყალი, მდინარე, საბადოები არ უნდა გასხვისდეს და გაიყიდოს!



საკვირაო ქადაგებისას ილია მეორემ ქართული მიწების გაყიდვა-გასხვისებაზე ისაუბრა და ხელისუფლებას მიმართა, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ყურადღებით და რუდუნებით მიიღონ.

**„რა არის მთავარი ფასეულობა, რომელსაც ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ?! მე მახსოვს ჩემი ერთ-ერთი ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. არ მახსოვს, ნიუ-იორკში თუ ვაშინგტონში ჩვენ ერთი ადგილი ვნახეთ, რომელიც იყო შეღობილი მავთულებით და იქ, უზარმაზარ სახლებს შორის, იყო გაშენებული პატარა ბოსტანი.**

**როცა ვიკითხეთ, თუ რას ნიშნავდა შუა ქალაქში ბოსტანი, მათ გვიპასუხეს, რომ ეს არის კერძო საკუთრება, კერძო ადამიანი არ ყიდის მას და ასე აღმოჩნდა სახლებს შორის ბოსტანი. ეს მაგალითი მოვიყვანე იმისთვის, რომ ჩვენ გაგვაჩნია ისეთი ფასეულობა, რომლის გაყიდვა მართლა არ შეიძლება, რომლის გასხვისება არ შეიძლება. ეს არის ქართული მიწა, წყალი, წყაროს წყალი, მდინარე, საბადოები.**

**ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ რთულ დროს, როცა შეიძლება ეს ფასეულობა, რომლითაც არსებობს ქართველი ადამიანი, მთლიანად დავკარგოთ, დავკარგოთ იმიტომ, რომ სხვებს გააჩნია ბევრი საშუალება, ფული, რათა ეს ყველაფერი იყიდონ. იყიდონ უცხო ხალხმა, უცხო ქვეყნებმა და შეიძლება საქართველო დარჩეს სრულიად ცარიელი. ამიტომ დიდი დაფიქრება გვჭირდება ჩვენ. უნდა ვიფიქროთ არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ ჩვენს მომავალზე, შთამომავლობაზე. არის შემთხვევები, როცა ხდება არა გაყიდვა, არამედ 50, 90-იანი, 100 წლით გასხვისება. მაგალითად, ტყის გასხვისება. ტყე რომ განადგურდეს, განადგურდება ხალხიც.**

**100 წელი რად უნდა ტყის განადგურებას, ერთი კვირაც ეყოფა, რაც ძალიან საშიშია, ამიტომ ჩვენმა ხელისუფლებამ რუდუნებით უნდა მიაქციოს ყურადღება ამ საკითხს. ღმერთმა ინებოს, რომ გაგვიხსნას გონება და გავიგოთ, რა არის აუცილებელი ჩვენთვის, რა არის ნამდვილი ფასეულობა“,** — ბრძანა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას.

## ირაკლი ღარიბაშვილი: რუსეთმა თავისი დაპირება შეასრულა

8

## ორლესული მახვილი საქართველოსთვის

6

## საბაჟო ტარიფი – რუსული ბერკეტი ასოციირების წინააღმდეგ

## უგულავას 7-დან 11 წლამდე პატიმრობა ემუქრება

2

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# გიგი უგულავას 7-დან 11 წლამდე პატიმრობა ემუქრება

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში უგულავას სისხლის სამართალის პასუხისგებაში მიცემასთან დაკავშირებით ბრიფინგი გაიმართა, სადაც განმარტეს, რომ უგულავა დაკავებული არ არის.**

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებას „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:**

„ფინანსთა სამინისტროს საგამოძიები სამსახურმა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის ფაქტზე, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა ქ.თბილისის ყოფილი მერი გიორგი უგულავა.

გამოძიებით დგინდება, რომ 2007 წლის 07 დეკემბერს, შპს

„სი-ტი პარკსა“ და ქ.თბილისის მთავრობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება ,,პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარის გაცემის შესახებ“, რომლის თანახმად თბილისში პარკირების მომსახურების გაწევა გადავიდა ექსკლუზიურად შპს „სი-ტი პარკ“-ზე, რომლიდანაც მიღებული შემოსავლის (ჯარიმების) 60%-ს მიიღებდა ქ.თბილისის მთავრობა, ხოლო 40%-ს შპს „სი-ტი პარკი“. ამავე ხელშეკრულების თანახმად, შპს „სი-ტი პარკს“ მიეცა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით – საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის და ამავე კოდექსის 1252 მუხლით დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისათვის მოქალაქეთა დაჯარიმების უფლება.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად – საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის მიღებული შემოსავლის 40% უნდა წარიმართოს ცენტრალურ ბიუჯეტში, 60% ადგილობრივი ბიუჯეტში, ხოლო ამავე კანონის თანახმად, პარკირების წესების დარღვევისთვის შედგენილი საჯარიმო თანხები ავტომატურად მიიმართება ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

მიუხედავად აღნიშნულისა, გიორგი უგულავამ, რომელსაც 2006-2013 წლებში ეკავა ქ.თბილისის მერის თანამდებობა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, შპს „სი-ტი პარკის“ მიანიჭა არამართლზომიერი უპირატესობა, რაც გამოიხატა სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი განკარგვით ზემოაღნიშნული კომპანიისათვის შემოსავლის ხელოვნურად გაზრდაში. კერძოდ, გიორგი უგულავამ შპს ,,სი-ტი პარკის“ სასარგებლოდ, 2009 წლის 11 თებერვალს გამოცემული ბრძანების დანართში განზრახ არასწორი სახაზინო კოდი მიუთითა, რის საფუძველზე საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის თბილისელების მიერ გადახდილი ჯარიმის თანხის 40%, ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტისა, გადაირიცხა შპს ,,სი-ტი პარკის“ ანგარიშზე.

ამავდროულად, გიორგი უგულავას გადაწყვეტილებით, ქ.თბილისის მერიასა და შპს ,,სი-ტი პარკს“ შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში 2011 წლის 06 აპრილს შევიდა ცვლილება №3, რის საფუძველზე კვლავ კომპანიის სასარგებლოდ შეიცვალა ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების განაწილების წესი, კერძოდ: მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის შპს ,,სი-ტი პარკი“ თბილისში საქმიანობით სოლიდური მოგებას იღებდა და სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობდა კომპანიისათვის რაიმე დამატებითი შეღავათის დაწესების აუცილებლობა, შპს „სი-ტი-პარკმა“ ხსენებული ცვლილებით თბილისელების მიერ გადახდილი თითოეული ჯარიმიდან დამატებით მიიღო 3 ლარი, 40% წარიმართა კომპანიის ანგარიშზე.

ამდენად, ქ.თბილისის მერმა – გიორგი უგულავამ, ცენტრალური ბიუჯეტის განზრახ იგნორირებით, კანონთან შეუსაბამო ბრძანების საფუძველზე შპს ,,სი-ტი პარკისთვის“ დამატებითი შეღავათების დაწესებით, კომპანიის სასარგებლოდ მთლიანობაში გაფლანგა სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით თანხა – 1 086 718 ლარის ოდენობით.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით, – აცხადებენ საგამოძიებო სამსახურში.

* * *

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის პრესსამსახურის უფროსმა გიორგი გრძელიშვილმა განაცხადა, რომ გიგი უგულავა ისე აპირებდა ქვეყნიდან გასვლას, რომ არ გააფრთხილა არც სასამართლო და არც საგამოძიებო ორგანო.**

– ის აღმკვეთის ქვეშ არის სხვა საქმეზე. ამის მიუხედავად, ის აპირებდა საზღვარგარეთ წასვლას ისე, რომ არ გააფრთხილა არც სასამართლო და არც საგამოძიებო ორგანო. გვაქვს ოპერატიული ინფორმაცია, რომ ის საგამოძიებო მოქმედებებისთვის თავის არიდებას აპირებდა.

რაც შეეხება უგულავას განცხადებას მორატორიუმთან დაკავშირებით, როგორც საგამოძიებო სამსახურში აცხადებენ, ამით უგულავა თემის გადაფარვას ცდილობს.

◎ ინფორმაცია

## პატრულთათვის ტრენინგები დაიწყო

**შსს-ს აკადემიაში დაიწყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგი – „ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მოქმედი სამართლებრივი მექანიზმების“ თემაზე.**

**შსს-ს ინფორმაციით, ტრენინგი ტარდება პროექტის – „ძალადობის პრევენციისა და დაძლევისათვის საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო გაეროს ქალთა ორგანიზაციის დაფინანსებით და არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის“ მხარდაჭერით ახორციელებს.**

**ტრენინგში საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მთელი ქვეყნის მასშტაბით მონაწილეობენ. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები ოჯახში ძალადობის საკითხებზე თეორიულ მასალას შეისწავლიან. სწავლების დროს ასევე გამოყენებული იქნება პრაქტიკული სავარჯიშოები და თემატური ვიდეორგოლები.**

◎ ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება

# შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო

**2014 წლის 6 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს დადგენილებით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო, რომლის ამოცანებია ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია და ხელშეწყობა, საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან ახალგაზრდა მეცნიერთა კონტაქტების დამყარება და გაფართოება, სტუდენტების ჩაბმა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, საჯარო სკოლების მოსწავლეთა სამეცნიერო წრეებთან თანამშრომლობა.**

**აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შემადგენლობა:**

| | |
|---|---|
| ასანიძე ზეზვა | – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მკვლევარი |
| ბარათაშვილი ზურაბ | – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ეფეხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და „ქართული ენის თესაურუსის“ კომიტეტის მეცნიერი თანამშრომელი; |
| ბარამიძე ვლადიმერ | – აგრარული უნივერსიტეტის ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორი |
| გიგლემიანი ლელა | – თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი; |
| ვეშაპიძე გიორგი | – ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ფიზიკის დოქტორი; |
| კაჭახიძე გიორგი | – კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების ექიმი-კარდიოლოგი; |
| მეძმარიაშვილი გიორგი | – სტუ ნაგებობების სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ინჟინერიის დოქტორი; |
| რუბაშვილი იმედა | – თსუ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი; |
| სუბატაშვილი თამარ | – სტუ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, აკადემიური დოქტორი; |
| სხირტლაძე ალექსანდრე | – თსსუ ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი; |
| ტეტუნაშვილი თენგიზ | – თსუ ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მკვლევარი; სტუ ასოცირებული პროფესორი, მათემატიკის დოქტორი; |
| ტურაშვილი მარინე | – შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი; |
| ყრუაშვილი ლალი | – ივ. ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ქცევისა და კოგნიტურ ფუნქციათა ლაბორატორიის ლაბორანტი, დოქტორანტი; |
| შავლაყაძე მარინე | – სტუ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, აკადემიური დოქტორი; |
| ჩუტკერაშვილი ანა | – სტუ არჩ. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი; |
| ჭარაია ვახტანგ | – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი; |
| ჯიქია ლევან | – წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. „ქართული უნივერსიტეტი“, ისტორიის დოქტორი. |

**ვფიქრობთ, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭო მუშაობაში ჩააბამს მთელი საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერებს, წარმოაჩენს მათი კვლევის შედეგებს. ყოველივე ეს კი ქვეყანას სასიკეთოდ წაადგება.**

**როინ მეტრეველი (აკადემიკოსი):** ერთი კვირის წინათ ჩავატარეთ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომა, სადაც შევიტანეთ საკითხი ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შექმნის შესახებ. საქმე ისაა, რომ საკმაოდ უყურადღებოდ გვყავს მიტოვებული ახალგაზრდა მეცნიერები, 35-40 წლის ასაკის განათლებული ადამიანები, არადა, ბევრი ძალიან შემოქმედებით საქმეს აკეთებს, საინტერესო კვლევები აქვთ, როგორც აქ, ისე საზღვარგარეთ. მიდიან უცხოეთში, იქ კითხულობენ ლექციებს, აქვთ საინტერესო მასალები და ა. შ. საგულისხმოა ისიც, რომ დოქტორანტების ნაშრომების უმეტესობა ყურადღების გარეშე რჩება... აი, ამ ყველაფერს როგორმე კოორდინაცია უნდა გაუწიოს ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭომ. ძირითადად საბჭო შეიქმნა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებისგან, მაგრამ აუცილებელია მთელი საქართველოს უნივერსიტეტების, კვლევითი ინსტიტუტების ახალგაზრდების ჩართვა.

60-70-იან წლებში არსებობდა მსგავსი საბჭო, რომელმაც თავისი დადებითი როლი შეასრულა. საბჭოში ახალგაზრდები ხვდებოდნენ ერთმანეთს, ამყარებდნენ საქმიან კავშირებს, ეცნობოდნენ ერთმანეთის ნამუშევრებს, იხილავდნენ საინტერესო მასალებს, საუბრები ჰქონდათ გამოჩენილ მეცნიერებთან, ტარდებოდა ღონისძიებები, მათ შორის კულტურული ხასიათისაც.

დღეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება; აი, ჩვენ უნდა შევძლოთ და ახალგაზრდებს თავისუფალი დრო რაციონალურად გამოვაყენებინოთ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემია თავის თავზე იღებს ამ ფუნქციას და ბოლომდე მიჰყვება ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვან საქმეს. მით უმეტეს, რომ კურთხევა გვაქვს ჩვენი პატრიარქისგან, უწმინდესმა ძალიან მოიწონა ეს იდეა. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ერთბაშად შეიცვლება ყველაფერი, მაგრამ პირველი ნაბიჯები გადავდგით და ეს უკვე კარგი დასაწყისია.

მოგეხსენებათ, რომ მეცნიერებისთვის აუცილებელი პირობაა მატერიალური რესურსები. ჩვენს დებულებაში პირდაპირ გვიწერია, რომ უნდა ვიმუშაოთ გრანტების მოზიდვაზე, გავიდეთ სხვადასხვა ფონდზე და ახალგაზრდების ნაშრომების დასაფინანსებლად გამოვძებნოთ რესურსები. მოხარული ვართ, რომ უმაღლესი სასწავლებლები ენთუზიაზმით შეხვდნენ აკადემიის იდეას და ფიქრობენ, რომ ძალიან გაამართლებს. ჩვენც ზუსტად ასეთივე პოზიტიური და ოპტიმისტური განწყობა გვაქვს!

**გასულ კვირაში ჩვენი მოძალაძეების უდიდესი უმრავლესობის ყურადღება მიპყრობილი იყო ბრიუსელზე, სადაც საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის მთავრობების მეთაურებმა ხელი მოაწერეს ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმებას. ეს ის უიშვიათესი მოვლენაა, როცა ყველა დაპირისპირებული პოლიტიკური ძალა ერთნაირად გახარებულია, ყველა აღტყინებულია, ყველა ზეიმობს, ყველა საკუთარ დამსახურებაზე ლაპარაკობს და... არავინ იცის, რა იძნება ხვალ.**

# აკშენდით, ბიძია-ბაბუა, აკშენდით!

## სანამ რუსეთი დაიშლებოდეს

**საქართველოს ისტორიული ოცნება ასრულებულია! ევროპასთან ასოციირების შეთანხმება ხელმოწერილია! რუსეთზე ისტორიული გამარჯვება მოპოვებულია! გამარჯვებულის დაფნის გვირგვინს ერთმანეთს ეცილებიან ეროვნული მოძრაობის ერთგული (და თვითმარქვია) წარმომადგენლები, შევარდნაძის ეპოქის მოღვაწეები, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მსხვილფეხობა და წვრილფეხობა, ქართული ოცნების ხორცშემსხმელები, მარადიული ოპოზიციონერები და ყველა პარტიაგამოვლილი უკვდავი პოლიტიკოსები...**

ზეიმიც, ამ დიდებულ მოვლენას რომ ეკადრებოდა, სწორედ ისეთი გავმართეთ: ევროპის მოედანზე და მეტეხის ჩრდილში მოწყობილი ესტრადებით, კათოლიკოს-პატრიარქით, პრეზიდენტით, პრემიერით (ნეტავ, ჯერ პრემიერი და მერე პრეზიდენტი ხომ არ უნდა მეთქვა?!), პარლამენტის წევრებით, მინისტრებით, გუბერნატორებით, საპატიო სტუმრებით, ცეკვა-თამაშით, ფეიერვერკით და, რა თქმა უნდა, გაევროპელების მოიმედე ბედნიერი მოქალაქეებით.

ლიდერმა მიშა მაჭავარიანმა, ნაცმოძრაობის სახელით განაცხადა, ევროპასთან ასოციირების ხელშეკრულება ჩვენი დამსახურებაა და ამიტომაც ვზეიმობთო. ამაში, რასაკვირველია, არის სიმართლის მარცვალი. ეეჰ, საქართველოს ყველა ხელისუფლებას წინა ხელისუფლების ნაკეთები კარგი საქმეების კეთება რომ გაეგრძელებინა, ახლა ბევრად წინ ვიქნებოდით. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები აწ უკვე თითქმის გაევროპელებული საქართველოს ისტორიაში თითზე ჩამოსათვლელია — ყველა ხელისუფლება ყველაფერს „იწყებდა ნოლიდან“, გულმოდგინედ ცდილობდა წინამორბედის ღვაწლის მიჩქმალვას, მისი ნაკვალევის წაშლას. ვისაც ისტორიაში ჩახედვა გეზარებათ, აგერაა, ბატონო, სააკაშვილის ხელისუფლების მმართველობის ცხრა წელიწადი.

მიშა მაჭავარიანს, თუ პოლიტიკაში დარჩენას აპირებდა, ასეთი სიმართლე მაინც არ უნდა ეთქვა - ახლა მისი ოპონენტები ადგებიან და სხვა „დამსახურებებსაც“ შეახსენებენ: უდანაშაულო ადამიანებით გადატენილი ციხეები, ქუჩებში მოწყობილი დემონსტრაციული ხოცვა-ჟლეტები, ციხის ავადსახსენებელი ამბები, კარგად ორგანიზებული „ზონდერჯგუფები“, ელიტური კორუფცია, განიავებული ბიუჯეტი...

## დავუბრუნდეთ შეთანხმებას

**როგორც გვითხრეს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი, ისტორიული, ნანატრი დოკუმენტი 1100-გვერდიანია. ჩვენთვის, ევროპის კართან მორცხვად ატუზული მოქალაქეებისთვის, ჯერჯერობით ამ გრანდიოზული დოკუმენტის მხოლოდ ერთი სტრიქონია ცნობილი — პრემიერ ღარიბაშვილის ხელმოწერა 1 100-ე გვერდზე. ახლა, მთავარია, გავიგოთ, რა წერია დანარჩენ 1099 ფურცელზე. არ გამიკვირდება, თუ გვეტყვიან, რომ ზოგიერთი მუხლი გასაიდუმლოებულია.**

სხვათა შორის, იმ სამყაროში, ჩვენ რომ ასე დაუოკებლად ველტვით, ასეთი ტიპის და მნიშვნელობის დოკუმენტებზე სახელმწიფოს მეთაურები ხელს ხანგრძლივი და საყოველთაო სახალხო განხილვის შემდეგ აწერენ. რახან დოკუმენტი უკვე ხელმოწერილია, იმედია, ამის თქმა ანტისახელმწიფოებრივ გამოხდომად არ ჩამეთვლება.

ზეიმებს რომ მოვრჩებით, იქნებ მერე ჩვენი უახლოესი, ჭირვეული და საშიში მეზობლის შესაძლო რეაქციაზეც ვიფიქროთ. თუნდაც, საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის ამ განცხადებაზე: **„როგორც კი ძალაში შევა ასოციირების შეთანხმება და ჩვენ გავაანალიზებთ, რომ ეს ნეგატიურად აისახება დსთ-ს თავისუფალ სავაჭრო ზონაზე, იმ პირობებზე, რა პირობებითაც ჩვენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გავწევრიანდით, რუსეთი თავდაცვით ზომებს მიიღებს“.** მინისტრს იმის თქმაც არ დავიწყნია, რომ **„რუსეთი მზად არის ნებისმიერი სახის კონსულტაციებისთვის და მხარეებს მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებს“.**

ეს იყო ხელმოწერამდე. ხელმოწერისთანავე იგივე გაიმეორა პრეზიდენტმა პუტინმაც. ისიც შეგვახსენა, რუსეთსა და ევროპას შორის არჩევანის გაკეთების მცდელობამ უკრაინა გახლეჩამდე მიიყვანაო. საშიში და დამაფიქრებელი განცხადებაა, მით უფრო, რომ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩმა უკვე გახლეჩილ-დანაკუწებული საქართველოსა და მოლდოვის ხსენება ამ კონტექსტში საჭიროდ არ მიიჩნია. ვფიქრობ, საკითხის ასე დაყენება - „ან ევროპა, ან რუსეთი“, - საქართველოსთვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

გასულ კვირაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ არსებული კონტრაქტიდან გამომდინარე, რუსეთი (კომპანია „გაზპრომი“) გერმანიას გაზის ღირებულებას გაუძვირებს. ალბათ ეს იგულისხმა კანცლერმა მერკელმა, როცა აღნიშნა, რომ ხელშეკრულება „ევროკავშირი - კიევი“ ძალაში მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკების შემდეგ შევიდოდა. ჩემი აზრით, გერმანია საკუთარ კეთილდღეობას თუნდაც ძალიან საყვარელი უკრაინისთვისაც კი საფრთხეს ვერ შეუქმნის.

დიახ, რუსეთის ინტელექტუალური არისტოკრატია (ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, იურისტები, ეკონომისტები, ჟურნალისტები...) დღეს სერიოზულად მსჯელობს რუსეთის ფედერაციის შესაძლო დაშლაზე. ძალიან მოკლედ, მთავარი არგუმენტები დაახლოებით ასეთია: რუსეთის ხელისუფლება პრეზიდენტ პუტინის მეთაურობით ქვეყნის აღმავლობა-გაძლიერებას ცდილობს შუასაუკუნოებრივი მეთოდებით: ახალი ტერიტორიების შემოერთებით; პარტნიორების დაშინებით; ძალადობრივი მეთოდებით; ცდილობს, ერთმანეთს შეუთავსოს მართვის აბსოლუტურად შეუთავსებელი სისტემები — ტირანია და ლიბერალური დემოკრატიზმი; რუსეთის ეკონომიკა ძირითადად დაფუძნებულია არა უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარებაზე, არამედ ისევ შუასაუკუნოებრივ მეთოდზე — ბუნებრივი რესურსების გაყიდვაზე.

არის, რა თქმა უნდა, სხვა ძალიან მნიშვნელოვანი არგუმენტებიც. ამიტომ, რუსეთის დაშლა გარდაუვალია. საქმე მხოლოდ დროშია — შესაძლოა, ამ პროცესს ხუთი ან ორმოცდაათი წელიწადი დასჭირდეს.

ადრე თუ გვიან, ალბათ, ასეც მოხდება, მაგრამ ჯერჯერობით ვერავინ წინასწარმეტყველებს შედეგს: დაუნდობელი სამოქალაქო ომი; გლობალური ბირთვული კატასტროფა; რუსეთის ნაცვლად 15-მდე ბირთვული იარაღით აღჭურვილი ახალი უპროგნოზო სახელმწიფოს წარმოქმნა; თუ „ხავერდოვანი რევოლუციები“ ზღაპრული ბედნიერი დასასრულით - ჭირი იქა, ლხინი აქა...

საქართველოს ნებისმიერ შემთხვევაში ძალიან, ძალიან ფრთხილი რუსული პოლიტიკის გატარება მართებს, რათა, როგორც ბევრჯერ აქამდე, მომავალშიც თავი გრდემლსა და ეროს შორის არ შეჰყოს.

## საით, საით, ძმებო!

**- სამხრეთ ოსეთმა, რუსეთის შემადგენლობაში შესასვლელად, შესაძლოა, რეფერენდუმი ჩაატაროს - განაცხადა გასულ კვირაში სამხრეთ ოსეთის ახლადარჩეულმა „პრეზიდენტმა“ ანატოლი ბიბილოვმა. ყოფილმა პრეზიდენტმა, ლეონიდ თიბილოვმა საქციელი მოუწონა კოლეგა ბიბილოვს. ეს განცხადება არცთუ საეჭვოდ დაემთხვა ცხინვალში ოსეთისა და აფხაზეთის საკითხებში პუტინის თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის ვიზიტს. შეგახსენებთ, რომ ბიბილოვის წინასაარჩევნო კამპანია მთლიანად ოსეთის რუსეთთან მიერთებაზე იყო აგებული და მან ხმების 46 პროცენტი მიიღო.**

ბიბილოვამდე ამავე შინაარსის განცხადებით გამოვიდა აფხაზეთის რეალური მმართველი რაულ ხაჯიმბა. ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ ალექსანდრე ანქვაბის აფხაზეთის პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენებაც „რუსეთთან მეტი ინტეგრაციის“ მოთხოვნით იყო მოტივირებული. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი მეთაურები გამოდიან აფხაზი და ოსი ხალხის სახელით, რომლებიც, თურმე, თავიანთ მომავალს რუსეთის უსასრულო სივრცეებში ჩაკარგვაში ხედავენ.

შეუძლებელია ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები ვერ ხედავდნენ, რომ პუტინის რუსეთს ოსებიც და აფხაზებიც თავიანთ „რესპუბლიკებიანად“ მხოლოდ საქართველოზე ზემოქმედებისთვის სჭირდებათ. ხოლო „რუსეთთან მეტი ინტეგრაცია“ მსოფლიო რუკიდან მათ გაქრობას მოასწავებს. ხატოვნად რომ ვთქვათ, ისეთი ვითარებაა, აბეზარი ბუზი რომ კამეჩის ნესტოში შეძრომას ცდილობს.

## ვისია მიწა-მარჩენალი

**დღემდე ვიცოდით, რომ ჩვენი წინაპრების და თანამედროვეების სისხლით გაპოხილი ქართული მიწა საქართველოსია, ჩვენია და იგი ხელუხლებელი განძია. მის გასხვისებაზე ფიქრიც კი დანაშაულია. თურმე, მთლად ასე არ ყოფილა.**

გასულ კვირაში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უცხოელებისთვის მიწების მიყიდვა დააკანონა. უფრო ზუსტად, ანტიკონსტიტუციურად სცნო კანონის ის მუხლი, რომელიც უცხოელებისათვის მიწის მიყიდვას კრძალავდა. საკონსტიტუციო სასამართლოს ინფორმაციით, „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ — მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან (საკუთრების უფლება) და მე-14 მუხლთან მიმართებით (თანასწორობის უფლება).

ალბათ, იკითხავთ, თუ ამდენ ხანს აკრძალული იყო, მაშ ეს ჩვენი ველ-მინდვრები, ტყეები და მთა-გორები ჩვენი ინდოელი, ჩინელი თუ პაკისტანელი მეგობრების ხელში როგორღა აღმოჩნდაო? — სააკაშვილის ეროვნულმა ხელისუფლებამ ჩინელებს, ინდოელებს, პაკისტანელებს და სხვებს მიწები კი არ მიჰყიდა, 49-წლიანი იჯარით გადასცა; რუსებს კი, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ომი დაუწყო და ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტი ხარკად მიართვა.

ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ქართულ საზოგადოება აღაშფოთა. დაიწყო არც თუ დელიკატური საუბარი დღევანდელი ხელისუფლების „გამყიდველობასა“, „სოროსელობასა“ და „ანტიეროვნულობაზე“. შესაძლოა, მიწების უცხოელებზე გასხვისების აუცილებლობა ქვეყნის წინაშე ოდესმე აუცილებლად დადგეს, მაგრამ დღეს ნებისმიერი მოტივით ხსენებული მორატორიუმის გაუქმება ძალიან ჰგავს ნაცმოძრაობის (რომელიც დღემდე აკონტროლებს მთლიანად სასამართლო სისტემას) რევანშს და აშკარად ასდის პროვოკაციის სუნი.

## ისევ არჩევნები

**გასულ კვირა დღეს გაიმართა არჩევნები სხვადასხვა სერიოზული დარღვევის გამო სასამართლოების მიერ გაუქმებულ 16 საარჩევნო უბანზე. თუ ორიოდე გამონაკლისს არ ჩავთვლით, პროცესმა მშვიდობიანად ჩაიარა. თუმცა, გამოიკვეთა ნიუანსები, რასაც, წესით, მმართველი პარტია უნდა ჩაეფიქრებინა.**

დავიწყოთ იმით, რომ ეს იყო გენერალური რეპეტიცია მერებისა და გამგებლების, მათ შორის, თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურის წინ. ანუ, როგორც ჩატარდებოდა გასულ კვირას დანიშნული არჩევნები, დაახლოებით იმ დონეზე ჩატარდება გამგებელ-მერებისაც.

დიდ ბოდიშს კი მოვიხდი, მაგრამ ჩავლილი მინი-არჩევნები მომავლის ეტალონად ნამდვილად ვერ გამოდგება - უმთავრესად იმის გამო, რომ მმართველმა პარტიამ გამოავლინა სრული უსუსურობა და ისევ ბედის, უკიდურესად დაბალი კვალიფიკაციის კადრებისა და პროვინციული ავტორიტეტების იმედად დარჩა. აღმოჩნდა, რომ ნაციონალური მოძრაობა ბევრად უფრო მობილიზებული, მოტივირებული და ორგანიზებული ყოფილა. არ ვგულისხმობ მხოლოდ იმას, რომ მათ რამდენიმე უბანზე გაიმარჯვეს. უნიათო წინასაარჩევნო პროპაგანდის გამო ოცნებამ მხარდამჭერთა საარჩევნო ყუთებთან მიტყუება ვერ მოახერხა და ნებსით თუ უნებლიეთ, აჰყვა ნაცების მიერ კარგად აპრობირებულ, სიყალბესა და ძალადობაზე დამყარებულ საარჩევნო ტექნოლოგიებს. აჰყვა არც თუ კარგად შენიღბულ პროვოკაციებსაც.

თუ ასე გაგრძელდა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე დომინანტ პოლიტიკურ ძალად, შესაძლოა, ისევ ნაციონალური მოძრაობა მოგვევლინოს, რაც ქართულ საზოგადოებას უეჭველად ახალ უმძიმეს სამოქალაქო დაპირისპირებაში ჩაითრევს.

## გიგი დაიბარეს, გიგი!

**გიგი უგულავა კიდევ ერთხელ დაკითხვაზე დაიბარეს. აი, რა განაცხადა მან ამასთან დაკავშირებით: „ორშაბათს, 30 ივნისს, 12 საათზე დაკითხვაზე დამიბარეს. ეს არაფერი! ამას უკვე შევეჩვიე. (თემაც კი არ ვიცი და დიდად არც მაინტერესებს). საქმე იმაშია, რომ მე საქმიანი მივლინებით მივემგზავრები ბრიტანეთში (ვხვდები ლორდ ფარისს), უკრაინაში-კიევის მერს ვიტალი კლიჩკოს და მოლდოვეთში, სადაც ევროსაბჭოს რეგიონთა კონგრესის მონიტორინგის სხდომაში მივიღებ მონაწილეობას (მე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ვარ). მოხსენება ეხება 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივ არჩევნებს. საქართველოში ვბრუნდები 5 ივლისს 05:00.**

ჰოდა, ამ ღრძო ღარიბაშვილს და მის მთავარ იხტიოლოგ ივანიშვილს მინდა ვუთხრა: რამდენი მილიარდიც არ უნდა იშოვო და რა თანამდებობაზეც არ უნდა იყოთ, თქვენგან არც სალამური გამოითლება და არც კაცი დადგება“.

აი, ამის მთქმელ კაცს აქვს პრეტენზია პოლიტიკოსობასა და ერის მამობაზე. თუმცა, ეს არაფერი — იქნებ ჩვენ, საქართველოს უბირ მოქალაქეებს ვინმემ აგვიხსნას, რატომ დასეირნობს ეს უგვანი ყოფილი მთელ მსოფლიოში საქართველოს სახელით, ვინ ნიშნავს ქართული დელეგაციების ხელმძღვანელად და რატომ ბედავს სამართალდამცავებთან ასეთი ტონით საუბარს?

**მიხეილ დარახველიძე**

# მე ასე ვხედავ!

# ოპა, ოპა, ოპა, ამერიკა, ევროპა!

**დიდი აჟიოტაჟი სდევდა თან ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ცერემონიალს. ზეიმები, კონცერტები, მიღებები, სატელევიზიო გამოსვლები და მილოცვები როგორც საქართველოში, ასევე ევროპის სხვადასხვა ქალაქში...**

სხვადასხვა რანგის თუ წონის პოლიტიკოსები და პოლიტიკასთან დაახლოებული პირები ტელევიზორების ეკრანებიდან გვილოცავდნენ ამ დიდ გამარჯვებას და წინსვლას. არადა, სულო ცოდვილო, გამოგიტყდებით და, ამ მილოცვების პათოსმა და ხმის სიყალბემ, რაღაცნაირად 70-იან წლებში 7 ნოემბერის და პირველი მაისის მილოცვები მომაგონა.

ხელმოწერამდე ისმოდა ათასგვარი განსხვავებული და ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრება. ერთნი ამტკიცებდნენ, ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, საქართველოს წინაშე უზარმაზარი შესაძლებლობები იშლება და სულ მალე „კისელის ნაპირებიან რძის მდინარეებში" ვიბანავებთო, ხოლო მეორენი თავგადაკლული იძახდნენ, რომ როგორც კი ამ ხელშეკრულებას ხელს მოვაწერთ, იმ დღესვე სახლში მისულებს მეუღლეების ნაცვლად კონჩიტები დაგვხვდებიან და სოდომ-გომორის ჭაობში ჩაგვძირავენო.

არადა, დამერწმუნეთ, რომ ის 1025-გვერდიანი ხელშეკრულება, რომელმაც ამხელა რეზონანსი გამოიწვია, საქართველოში არავის აქვს წაკითხული.

მაგრამ რადგან ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილია, კონცერტები ჩატარებული და ფეიერვერკები გაშვებული, ემოციები გვერდზე გადავდოთ და ვნახოთ, თუ რა პერსპექტივები და საფრთხეები გველოდება.

**„ვგრძნობ, რომ ეიფორიული განწყობა არის შექმნილი, რომელიც არ ესატყვისება იმას, რაც მოხდა. ეს ეტაპი მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი საქართველოსთვის ისტორიული დღედ სახელდება, დამოუკიდებლობის აქტთან გათანაბრება, მგონი ცოტა ზედმეტია. როცა ილუზიები ზღვარს გადადის, ამას იმედგაცრუება მოსდევს.**

**ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ქართული პროდუქციის დაუყოვნებლივ ევროპულ ქვეყნებში გადინებას, ან ხვალვე უვიზო რეჟიმის შემოღებას. ამ ხელშეკრულებაში ძალიან ბევრი რამ დევს, მაგრამ ამ არ დევს გაწევრება",** — აცხადებს სალომე ზურაბიშვილი.

აბსოლუტურად მართალია ქალბატონი სალომე. მართალია, რადგანაც ის ეიფორია, რაც დღევანდელ თუ ყოფილ ხელისუფლებას სურს, თავს მოგვახვიოს, საკმაოდ შორს არის რეალობისგან.

პირველი და მთავარი ის არის, რომ **პროცედურები ჯერ ბოლომდე არ არის დამთავრებული. ევროკავშირის 28 ქვეყანამ რატიფიცირება უნდა გაუკეთოს ამ დოკუმენტს** (პირველი იქნება ლატვია, რომელიც 5 ივლისს განიხილავს რატიფიცირების საკითხს), **რასაც შემდგომ ევროკავშირის სხვადასხვა კომიტეტში განხილვები უნდა მოჰყვეს.** მოკლედ რომ ვთქვათ, წინ კიდევ ბევრი „საზეიმო" გადაწყვეტილების მიღება გველოდება.

და ყველაზე მთავარი — რუსეთი!

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ **„საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, რა რეაქცია ექნებათ რუს პარტნიორებს ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმების ხელმოწერაზე"**.

მართლაც არავინ იცის, თუ რას მოიმოქმედებს რუსეთი. ბუნებრივია, რომ რაიმე სამხედრო კონფლიქტზე, ან პროვოკაციაზე საუბარი არ არის, მაგრამ სხვადასხვა სახის ეკონომიკური სანქციები ნამდვილად მოსალოდნელია.

არადა, ისმის სრულიად ბუნებრივი შეკითხვა: რამდენად შეძლებს, ვთქვათ, გორელი გლეხი თავისი ატმის, თუ ვაშლის გატანას სტავროპოლის ნაცვლად ბრიუსელში?

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა BBC World-თან საუბრისას განაცხადა, რომ **ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერა.** მისივე თქმით, ამ შეთანხმებით საქართველოს ექნება წვდომა 500-მილიონიან ევროპულ ბაზარზე, ქართველ ბიზნესმენებს კი მიეცემათ საუკეთესო შესაძლებლობა და გამოცდილება ქართული პროდუქტი ევროპულ ბაზარზე გაიტანონ. **„გარდა ამისა, საქართველოს მშპ პროგნოზირებადი მატების გარდა, კიდევ 4,6%-ით გაიზრდება, ასევე გაიზრდება ექსპორტი 12,5%-ით. რა თქმა უნდა, ეს დიდი სარგებელი იქნება ქართველი ხალხისთვის. რა თქმა უნდა, ეს არ მოხდება ერთ და ორ დღეში და ამას ბევრი მუშაობა სჭირდება. მაგრამ, ჩვენ სრულად მოტივირებულები ვართ ამ რეფორმების განსახორციელებლად. შედეგები მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად განვახორციელებთ ამ რეფორმებს. საბოლოო შედეგების მიღებას, შესაძლოა, ხუთი წელი დასჭირდეს, შესაძლოა, ათი წელი, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს მტკიცე პოლიტიკური გადაწყვეტილება — ევროპისკენ სვლა. ჩვენ მკაფიოდ განვაცხადეთ, რომ ევროინტეგრაციის პროცესი შეუქცევადია და ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება, რომელსაც ქართველი ხალხი მხარს უჭერს".**

გულწრფელად ვიტყვი. ძნელი დასაჯერებელია, რადგანაც ქართული ბიზნესის ტოპ-ათეული, სამწუხაროდ, ასე გამოიყურება:

**შპს „სოკარ ჯორჯია" პეტროლეუმი — საბითუმო ვაჭრობა ავტომობილის ბენზინით.**

**შპს „ტოიოტა კავკასია" — საბითუმო ვაჭრობა ახალი და ნახმარი ავტომობილებით.**

**შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია (ყოფილი შპს „სონოლ ოილ პროდაკტს ჯორჯია") — საცალო ვაჭრობა ძრავის სათბობით.**

**სს „ვისოლ პეტროლიუმ — ჯორჯია", საცალო ვაჭრობა ძრავის სათბობით.**

**სს „საქართველოს რკინიგზა" — რკინიგზის სამგზავრო ტრანსპორტი.**

**შპს „ლუკოილ ჯორჯია" — საცალო ვაჭრობა ძრავის სათბობით.**

**შპს „ჯორჯიან მანგანეზი"— თუჯის, ფოლადისა და ფეროშენადნობების წარმოება.**

**შპს „რუსთავის აზოტი" — მინერალური სასუქების წარმოება.**

**„ბი-ფი ექსპლორეიშენ" (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალი — ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება მილსადენი ტრანსპორტით.**

**შპს „ტოიოტა ცენტრი-თბილისი " — საცალო ვაჭრობა ახალი და ნახმარი ავტომობილებით.**

განვიხილოთ ცალ-ცალკე, თუ ყველაფერი ისედაც ნათელია? ამ ჩამონათვალში ნამდვილად არ არის და ალბათ, კარგა ხანს ვერც მოხვდება ვერც ერთი ფერმერი, რომელიც ნამდვილ, ქართულ პროდუქტს აწარმოებს.

**„ევროკავშირთან ასოციირების ხელმოწერა არის ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციის ერთგვარი შეთანხმება. ჩვენ დღეიდან 24-საათიან რეჟიმში უნდა დავიწყოთ მუშაობა, ამიტომ აუცილებელია ამ იდეის გარშემო გავერთიანდეთ",** — აცხადებს პრემიერი და მას კვერს უკრავენ როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ასევე უმცირესობის წარმომადგენლები.

კი, ბატონო, ევროკავშირთან ასოციირების ხელმოწერა ნამდვილად არის ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციის ერთგვარი შეთანხმება, მაგრამ საინტერესოა, თუ რას ნიშნავს ევროპეიზაცია?

ჩემი აზრით, ევროპეიზაცია არ არის არც გეიაღლუმები და არც ბურჭულაძე-დეისაძის ლიტერატურა. ევროპეიზაცია არ არის ბიუჯეტის ხარჯზე ქონდარში ჩამარინადებული ბატკნის ბარკლების მოყვარული ფინანსთა მინისტრი და არც ბიუჯეტის თანხებით 1500-ლარიანი მობილური ტელეფონის შემძენი, უშიშროების საბჭოს მდივანი. ევროპეიზაცია არ არის არც სატანისტების რიტუალები და არც ნარკოტიკების ლეგალიზაცია. ევროპეიზაცია არ არის შიმშილის ზღვარს მიღმა მყოფი 77000 ბავშვი, 150-ლარიანი პენსია და ამ ფონზე ჩინოვნიკების მიერ მიღებული უზარმაზარი პრემიები. ევროპეიზაცია არ არის კოტე კუბლაშვილის სასამართლო და არც არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების საბაბით დამნაშავეების მიმართ გამოცხადებული მორატორიუმი. ევროპეიზაცია არც ნანუკას და არც მაია ასათიანის შოუებია.

ჩემი აზრით, **ევროპა, უწინარესად, საკუთარ მოქალაქეზე ზრუნვა, მისთვის სოციალური, თუ სხვა გარანტიების მიცემაა. ევროპა მეტროთი გადაადგილებული ლონდონის მერი და 27 000-ევროიანი ავტომობილით მოსიარულე საფრანგეთის პრეზიდენტია. ევროპა კანონის უზენაესობა და დასჯილი დამნაშავეა, მიუხედავად იმისა, თუ რა სტატუსის მატარებელი იყო ის ადამიანი. ევროპა ის ადგილია, სადაც კერძო სტრუქტურაში შრომა უფრო მიმზიდველი და საინტერესოა, ვიდრე სახელმწიფო სამსახური. ევროპა ის ადგილია, სადაც „რუსთავი-2", ან „იმედი" უეჭველად გაკოტრდებოდნენ, რადგანაც იქ რეკლამებს არავინ მიიტანდა.**

ეს არის მცირე ჩამონათვალი იმისა, თუ რა არის ჩემთვის და საქართველოს უამრავი მოქალაქისთვის ევროპა და ევროპეიზაცია.

საუბედუროდ, დიახ, სწორედაც რომ საუბედუროდ, ევროპა აბსოლუტურად საწინააღმდეგო მხრიდან დაგვანახეს ე.წ. სამოქალაქო სექტორის მშენებელმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტმა", ნაციონალურმა მოძრაობამ, რესპუბლიკურმა პარტიამ და ბოლოს საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობას ევროპეიზმის მიმართ მცდარი შეხედულება ჩამოყალიბებოდა და დაახლოების ნაცვლად ზიზღი გასჩენოდა.

**„ჩვენ დღეიდან 24-საათიან რეჟიმში უნდა დავიწყოთ მუშაობა, ამიტომ აუცილებელია ამ იდეის გარშემო გავერთიანდეთ",** — აცხადებს პრემიერი. კი, ბატონო, მართლაც 24-საათიან რეჟიმში უნდა იმუშაოს ხელისუფლებამ, რათა თავის თავში გააერთიანოს ევროპული იდეა, რადგანაც საქართველოს მოსახლეობა მრავალი საუკუნეა, ამ იდეით ცოცხლობს და მოდის.

საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში გავრცელებულია აზრი, რომ ესა თუ ის უაზრო კანონი, ან ესა თუ ის ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება ევროპამ მოგვახვია თავს.

ვერანაირად ვერ გავიგე, თუ რას ნიშნავს ფრაზა **„ევროპამ მოგვახვია"?**

იარაღით დაგვემუქრა, თუ ჯოკერში წავაგეთ?

ამაზეც აქვთ პასუხი: არა, იარაღით არ დაგვმუქრებიან, მაგრამ გრანტებს შეგვიწყვეტენო. უკაცრავად, მაგრამ ის გრანტები საქართველოს მოსახლეობამდე მაინც არ მოდის და ყველამ კარგად ვიცით, თუ ვის ჯიბეში ილექება ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის გამოყოფილი ფული. ამიტომ პასუხი ევროპას კი არა, იმ ჩინოვნიკებს უნდა მოვთხოვოთ, რომელთათვის „მცირე ხელფასების შემთხვევაში სახელმწიფო სამსახური უინტერესო იქნება". იმ დეპუტატებს უნდა მოვთხოვოთ, რომელთა დაპირებებიც კარგად გვახსოვს და „გაკეთებულ საქმეებსაც" კარგად ვხედავთ.

არ მესმის ფრაზა: **— ევროპა არ იჭერს სააკაშვილს.**

რატომ უნდა დაიჭიროს, როცა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული? უფრო მეტიც, საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი მას თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ მოქალაქეს უწოდებს. როცა დასავლური მედია სააკაშვილს უთმობს ეთერს და შემდეგ ჩვენი ტელევიზიები მის ყოვლად ანტისახელმწიფოებრივ ბოდვას დღეში რამდენჯერმე აჩვენებენ, საქართველოს საელჩოები, იმის ნაცვლად, რომ იმ ტელევიზიებში სააკაშვილის „საქმეების" ამსახველი ვიდეო, თუ ფოტომასალა მიიტანონ, ყავის სმით და შოპინგებზე სიარულით არიან დაკავებულნი.

და არის კიდევ უამრავი რამ, რასაც ევროპას აბრალებენ და სინამდვილეში დამნაშავე ჩვენ თვითონ ვართ.

არც ერთ ევროპულ ქვეყანაში მოსახლეობა არ აიტანდა იმ ცინიზმის მეასედსაც კი, რასაც ბოლო რამდენიმე წელია, ხელისუფლებისგან ვითმენთ და ყოველგვარი რევოლუციების გარეშე, ძალიან მშვიდად და ევროპულად გადაირჩევდა უვარგის მთავრობას.

**ევროპა ჩემთვის დახვეწილი პოლიტიკური კულტურა და არჩევნებზე გაკოტრებული პოლიტიკური ძალისთვის უარის სათქმელად მისული მოსახლეობის მაღალი აქტივობაა.**

აი, ეს არის ევროპა და სანამ ჩვენთან ის ინსტიტუციები არ რეფორმირდება, რაც, პირველ რიგში, მოქალაქის ინტერესების დასაცავად არის განკუთვნილი, რაც არ უნდა კონცერტები ვატაროთ და როგორი პათოსითაც არ უნდა მივულოცოთ ერთმანეთს „ეს დიდი გამარჯვება", არამც თუ ევროპაში, „მაკდონალდშიც" არავინ შეგვიშვებს.

ჯერჯერობით კი წინ არჩევნების მეორე ტური გველოდება.

**გია გაბრიჭიძე**

◎ ალიანჩალიანი

## თბილისის მერია სათამაშო მოედნების მოწყობისთვის 3 მილიონის დახარჯვას აპირებს

**შესაბამისი სატენდერო განცხადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა.**

**სატენდერო ინფორმაციის მიხედვით, მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების მოწყობა, აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოები 40 000 კვ.მეტრზე უნდა განხორციელდეს, მანამდე კი ამავე ფართობზე არსებული ხელოვნური საფარის დემონტაჟი და სპეც. ნაგავსაყრელზე გატანა უნდა მოხდეს.**

**სატენდერო განცხადებაში დაკონკრეტებული არ არის რამდენი მოედნის მოწყობა იგეგმება. სატენდერო პირობებში მხოლოდ ის არის მითითებული, რომ ტენდერში გამარჯვებულს სამუშაოების წარმოება ერთდროულად მინიმუმ 30 ადგილზე უნდა შეეძლოს. აღსანიშნავია, რომ პრეტენდენტს 2011 წლის 1 იანვრიდან უნდა გააჩნდეს ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნების მოწყობა, აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციით.**

ინტერპრესი

◎ კანონპროექტი

# ინფორმაციის თავისუფლების რეფორმა

## სახადი – დემოკრატიის სახელით

**ინფორმაცია მალფუჭებადი პროდუქტია; შეიძლება დაგვიანებულმა ინფორმაციამ თავისი ღირებულება აბსოლუტურად დაკარგოს. საქართველოში საჯარო ინფორმაციის მიღების ყველაზე კარგ ვადად ზოგადად 3 დღე არის მიჩნეული, საშუალოდ 10 დღე, ხოლო გრძელვადიანი პერსპექტივა უვადოა. საჯარო მოხელეები აბსოლუტურად სარგებლობენ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებით და ბოლო ვადის ამოწურვამდე ინფორმაციას არ გასცემენ. ხშირად სიტუაცია ჩიხურია და სხვადასხვა დეფინიციების გამოყენებით, შეიძლება ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადონ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ახალი კანონის შექმნის აუცილებლობა დიდი ხანია, დღის წესრიგში დგას.**

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტი ინფორმაციის თავისუფლება და ხელმისაწვდომობაა. შეიძლება მავანს ეს ერთგვარად უწყინარ თემად მოეჩვენოს, თუმცა, ევროპელთა მხრიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. ეს თემა იმდენად დიდ მნიშვნელობას იძენს არასამთავრობო სექტორისთვის, რომ იუსტიციის სამინისტროსთან და სხვა ექსპერტებთან ერთად ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ უკვე ექვსი თვეა მუშაობს ინფორმაციის თავისუფლების რეფორმირებაზე. ცვლილებები თავისთავად გულისხმობს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ახალი კანონის მომზადებასა და საზედამხედველო ორგანოს შექმნას.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სპეციალურად სტუმრობდა შოტლანდიის ინფორმაციის თავისუფლების ცენტრის დირექტორი, ინფორმაციის თავისუფლების ყოფილი კომისარი **ქევინ დანიონი,** რომელმაც რეკომენდაციები გაუზიარა ქართველ კოლეგებს.

კანონპროექტი ივლისის ბოლოსთვის უკვე მზად იქნება და საშემოდგომო სესიაზე პარლამენტი განიხილავს, რომელსაც ლობირებას შალვა შავგულიძე გაუწევს.

**„საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია მთელი მსოფლიოსთვის. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს ეს აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლება. უნდა გავითვალისწინოთ ზოგიერთი ახირებული მოთხოვნა, რომელიც სცდება თავის საზღვრებს, ამიტომ ძალიან ფაქიზად უნდა დავარეგულიროთ, სად გადის ზღვარი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, სახელმწიფო საიდუმლოებას, კომერციულ ინფორმაციასა და პერსონალურ მონაცემებს შორის“,** — აღნიშნა ქევინ დანიონმა.

ინფორმაციის თავისუფლების ახალი კონცეფციის შემუშავებისას კანონპროექტის შემქმნელმა ჯგუფმა რამდენიმე საუშაო შეხვედრა გამართა სახელმწიფო, საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, მოსამართლეებთან, აკადემიურ პერსონალთან. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იყო მსჯელობა „შერატონ მეტეხი პალასში“, სადაც გამოწვლილვით განიხილეს ინფორმაციის თავისუფლების ყველა შესაძლო რეგულირება.

ამ კონტექსტში ძალიან საინტერესო პასაჟი მოხდა. მაგალითად, ადვილი შესაძლებელია საჯარო პირთა სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა (e.mail) საზოგადოებისთვის ღია გახდეს, ანუ თუკი ექსპერტები შეჯერდებიან ამ თემაზე, სახელმწიფო მეილებზე საჯარო ინფორმაციის რეჟიმი გავრცელდება. პირადი მიმოწერების გასაჯაროება საკმაოდ ფაქიზი თემაა, ამიტომ ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს პროფესიონალებისგან, ზუსტი დეფინიცია მოხდეს და ასევე ყველა ნიუანსი გაითვალისწინონ ისე, რომ პიროვნების იმიჯი და უფლება არ დაზარალდეს.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენელი გიორგი კლდიაშვილი** მიიჩნევს, **რომ ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფა მხოლოდ კანონშემოქმედებითი პროცესი არ არის: „ინფორმაციის თავისუფლება კომპლექსური საკითხია, რომელიც მენტალურ პრობლემებს უკავშირდება. ამ რეფორმამ, ყველა გამოწვევას იდეალისტურად უნდა უპასუხოს. ეს არის სახადი — დემოკრატიის სახელით. ახალი აქტი უნდა გახდეს კარგი პრაქტიკა მსოფლიოსთვის და მან ათწლეულებს უნდა გაუძლოს“.**

ნია ფიფია

◎ გვწერენ

# დავაფასოთ ღირსეული სიბერე!

**ქართველები სუფრაზე მშობლებისა და უფროსი თაობის სადღეგრძელოს აუცილებლად ამბობენ და თავიანთ წინაპრებს ეფერებიან, თუმცა, ეს მხოლოდ სუფრაზე. ცხოვრებაში ჩვენს პარლამენტარებსა და ჩინოვნიკებს მხოლოდ საკუთარი თავი, საკუთარი ხელფასი და პრემია ადარდებთ. ხალხი, პენსიონერები კი სულაც არ ედარდებათ, ამიტომაცაა ასეთი სოლიდური განსხვავება მათ ანაზღაურებასა და პენსიონერების პენსიას შორის.**

**27 ივნისს თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი „ასე ტკბილად ნაღდად ვერ დავბერდებით,“ რასაც ვიზიარებ და მოგიყვანთ პრაქტიკულ მაგალითებს.**

**მთელი ცხოვრება უსაქმურობაში და კრიმინალში გაატარა ჩემმა მეზობელმა, ერთი აგურიც არ დაუდვია საზოგადოების სასარგებლოდ. სამაგიეროდ, პენსია 150 ლარი მიიღო.**

**მთელი ცხოვრება ალიონიდან დაღამებამდე კიროვის ქარხანაში შრომასა და გარჯაში, ოჯახსა და საზოგადოების სამსახურში გაატარა, ღირსების ორდენითაც დაავჯილდოვეს მამაჩემი, როგორც დარგის ღირსეული მუშაკი. სამაგიეროდ, რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, მისი პენსიაც 150 ლარით აღინიშნა. გაუხარებელი და გულდაწყვეტილი წავიდა ამ ქვეყნიდან. ნუთუ ასეთ უსამართლო ქვეყანაზე ვოცნებობდით? და ასე უნდა შევიდეთ ევროპაში?**

**როდესაც ჩვენი ჩინოვნიკები და პარლამენტარები წარმოუდგენლად მაღალ ხელფასებსა და პრემიებს იღებენ; როცა მათ ვხედავთ სხვადასხვა ძვირადღირებულ ღონისძიებებზე სახელმწიფოს ხარჯზე, უნებურად გვებადება პროტესტი — რა ევროინტეგრაციაზე და რა წინსვლაზეა საუბარი ამ ბატონყმობის სინდრომით დაავადებულ ადამიანებში, რომლებიც საკუთარი თავის იქით არ იყურებიან. ნუთუ ევროპარლამენტარები არ ინტერესდებიან ამ კოლოსალური განსხვავებებით? უცხოეთში ასე არ არის. მაგალითად, რუსეთში ჩვენზე დიდი პენსიები აქვთ, ასეა აზერბაიჯანშიც, სომხეთშიც, სადაც სოციალური ტარიფები ჩვენზე ნაკლებია.**

**ჯერ საკუთარ ხალხს მიხედეთ, ბატონო ჩინოვნიკებო და შემდეგ ევროპასა და ნატოზე გვესაუბრეთ. ისე ამ რახარუხს ინტეგრაციას და ევროპიზაციაზე არავინ დაგიჯერებთ, ხომ ხედავთ იცლება ქვეყანა.**

**დიდი ვნებათაღელვაა მეზობელ სომხეთში, სადაც ამჟამად დაგროვებითი საპენსიო სისტემა აამოქმედეს. ჩვენი ტიპისა და ტრადიციების სახელმწიფოში ასეთი ფორმები არ ამართლებს. ეგებ მოიკითხოთ და დაინტერესდეთ. უმჯობესია, ჩვენში ქამარი სახელმწიფო ჩინოვნიკებმა შემოიჭიმონ, თორემ თავქარიანი სააკაშვილის ხელში ეს ხომ დაგვეკვება — დაგვამუნათებს და „ლაზიკას“ან ახალი უაზრო შუშის ხიდის მშენებლობას მისცემს პრიორიტეტს, პენსიონერებს კი მიწას მოგვაყრის. ამიტომ, ექსპერიმენტებს თავი დავანებოთ და გარკვეული სიმარტივით დავაფასოთ ღირსეული სიბერე.**

**მალხაზ იაშვილი,**
დუმბაძის პრ. №38.

◎ წერილი რედაქციას

# ჩოხოსან რაინდთა დასმა „მარაბდობა“ აღადგინა

**დღეს, ა. წ. 1 ივლისს, სამშაბათს, „ცხრა ძმა ხერხეულიძის მემორიალზე“ (თეთრიწყაროს რ-ნის სოფ. მარაბდა), ქაქუჩა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის ეგიდით, ვატარებთ ჩვენს მიერვე აღდგენილი „მარაბდობის“ სახალხო დღესასწაულის მორიგ ტრადიციულ, რიგით მეექვსე შეხვედრას, მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ არც თავად ამ მივიწყებული დღესასწაულის აღდგენაზე და არც, მით უმეტეს, ხვალინდელ შეხვედრაზე, თქვენს მონამორჩილს, როგორც იდეის ავტორს, არა აქვს მიღებული პედაგოგიკის დოქტორის, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრის, ბ-ნ ზ. ცუცქირიძის სანქცია და ეგებ, ძველი მეგობრობის ნიშნად, მომაპოვებინოთ ეს თანხმობა, რათა ისევ არ გამოაცხოს ახალი სტატია ჩემზე, როგორც სხვისი იდეის მიმთვისებელზე. ის ხომ ახლად მოვლენილი მესიაა, რათა, როგორც თავად წერს, „ნათელი მოჰფინოს“ ქვეყანას, „დიდი უსამართლობისგან“ იხსნას ადამიანები, რომლებიც „ენერგიულად იღვწიან“ ეროვნული საქმეებისთვის, მაგრამ „ჩოხოსან რაინდთა ბელადი“ ითვისებს, თურმე, მათ იდეებს, მათ ნაკეთებ საქმეებს და ა. შ. და ა. შ.**

**აქვე იმედს ვიტოვებ, რომ თქვენი რომელიმე კორესპონდენტი დაესწრება, სიამაყით ვიმეორებ, ჩვენს მიერ აღდგენილ „მარაბდობის“. ხომ გახსოვთ პოეტის ნათქვამი — „მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ — მარაბდა!“**

**გოგი დოლიძე,**
პროფესორი, ჩოხოსან რაინდთა დასის დარბაზის მემაური, აპაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი.

◎ ნინოწმინდელები შველას ითხოვენ

# კახელები – მენავთობეების წინააღმდეგ

**საგარეჯოელები კვლავ მენავთობეების წინააღმდეგ დაირაზმნენ. „კანარგო ჯორჯიას“ მიერ დაქირავებული პოლონური კომპანია, რომელიც კვლევითი სამუშაოების ჩატარებას აპირებდა, სოფელ ნინოწმინდის მოსახლეობამ საკვლევ ტერიტორიაზე არ შეუშვა. ადგილობრივები შიშობენ, რომ სოფელი სასმელი წყლის გარეშე დარჩება.**

**„ამ ადგილს ჰქვია სათავე, საიდანაც მთელ საგარეჯოს რაიონს სასმელი წყალი მიეწოდება. ეს პოლონური კომპანია, რომელიც დაიქირავა „კანარგო ჯორჯიამ“, გეგმავს კვლევით სამუშაოებს, რაც ითვალისწინებს ნავთობის მოპოვების მიზნით, აფეთქებებს. თუკი ასე მოხდება, მოსახლეობა წყლის გარეშე დარჩება“,** — განაცხადეს საპროტესტო აქციის მონაწილეებმა.

**საგარეჯოში მიმდინარე საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, „კანარგო ჯორჯიას“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კლიფ აიზეკმა განაცხადა, აღნიშნული საკითხი მისთვის უცნობია. „არ მესმის რაზე მელაპარაკებით, ჩემთვის ეს საინტერესო არ არის“,** — განაცხადა კლიფ აიზეკმა.

**„კანარგო ჯორჯიას“ 1996 წლის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც სახელმწიფოსთან აქვს დადებული, მიენიჭა უფლება ნინოწმინდა-რუსთავი-მანავის ტერიტორიაზე ნავთობი მოიპოვოს. „სწორედ ამ ხელშეკრულების ფარგლებში, მოადგნენ საგარეჯოში ამ ადგილს, სადაც კვლევებს ატარებენ“,** — აცხადებენ საგარეჯოელები.

ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ხელშეკრულებებისა და ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე ალავიძე კი თვლის, რომ საგარეჯოში მიმდინარე სამუშაოები სასმელი წყლის დაკარგვის საფრთხეს არ ქმნის. მისი განმარტებით, კომპანია „კანარგო ჯორჯიას“ მოპოვებული აქვს ამ ტერიტორიაზე ნავთობისა და გაზის რესურსების ძებნა-ძიების ლიცენზია.

**„კომპანია პერიოდულად ახორციელებს ძებნა-ძიების სამუშაოებს, რომლის ნაწილიც არის გეოფიზიკური ძებნა-ძიება. სწორედ გეოფიზიკური ძებნა-ძიების პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ახლა საგარეჯოში. ეს კომპანია წლებია მუშაობს და პრობლემა არავისთან გასჩენია“,** — განაცხადა ალავიძემ.

აი, აქ კი ალავიძე სასტიკად ცდება. „კანარგო“ სწორედ ის კომპანაა, რომლის მიმართ პრეტენზიები მოსახლეობას მუდმივად აქვს და არც უსაფუძვლო. უმთავრესი დაპირისპირება საგარეჯოელებსა და „კანარგოს“ შორის ამ 10 წლის წინათ მოხდა, როდესაც სოფელ ნინოწმინდაში „კანარგო ჯორჯიას“ ჭაბურღილზე ავარიის შედეგად ნავთობი ამოიფრქვა.

ავარიის გამო ასობით ჰექტარი ტყე, წყალი და ნიადაგი დაბინძურდა. საგარეჯოსა და მეზობელ სოფლებში კი მკვეთრად იმატა სხვადასხვა სიმსივნურმა დაავადებამ, გახშირდა სიკვდილიანობაც.

ალავიძე კი ამტკიცებს, რომ „კანარგოს“ გაგზავნილი აქვს წერილი „წყალმომარაგების გაერთიანებული კომპანიისთვის“, რომ იმ შემთხვევაში, თუკი სათავო ნაგებობას რაიმე ზიანი მიადგება და საჭირო გახდება მისი ანაზღაურება, „კანარგო“ ამ ყველაფერს აანაზღაურებს.

**„ეს წერილი „კანარგომ“ წყლის კომპანიას გაუგზავნა, რაც ნიშნავს, რომ კომპანიამ მის წინაშე ვალდებულება აიღო. მოსახლეობა არასწორად არის ინფორმირებული ამ საკითხზე, თუ ვიღაცამ უთხრა, აფეთქების შემდეგ წყალი დაიკარგებაო, გამოვა ქუჩაში ხალხი, აბა, რას იზამს. ასეთ შემთხვევაში მეც გამოვიდოდი.**

**შარშანაც იყო იგივე პრობლემა, რის შემდეგაც „კანარგოს“ წარმომადგენლები შეხვდნენ მოსახლეობას, გამგეობას და აუხსნეს ყველაფერი, თუმცა, მიუხედავად ამისა, თუ შიში ან ვიღაცის ინტერესი არსებობს, არ ვიცი.**

**ის, რომ გეოფიზიკურმა სამუშაოებმა გამოიწვიოს წყლის დაკარგვა, ან რაიმე ზიანი გარემოზე, ეს შეუძლებელია. ეს არის მცირე სიღრმეზე სუსტი მუხტით აფეთქება. კომპანია ამჟამად ამზადებს, 8-10 მეტრის ჭებს და ასეთი დონის ბურღვა წყალს ზიანს არ მიაყენებს“,** — განაცხადა ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს ხელშეკრულებებისა და ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსმა.

**„კანარგოსა“ და სახელმწიფოს შორის, ხელშეკრულება 1996 წელს გაფორმდა და 25-წლიანია.**

**ბექა დანელია**

# ᲝᲠᲚᲔᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ

**ᲡᲐᲜᲐᲛ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე იმედოვნებს, რომ მომავალში ქართული მხარე მოახერხებს რუსული ბიზნესი საქართველოში ინვესტიციებით დააინტერესოს, მანამდე, ასოციირების ხელშეკრულების კვალდაკვალ, კრემლი თავდაცვით მექანიზმებს ამუშავებს.**

**კერძოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი „თავდაცვით ზომებზე“ ალაპარაკდა, თუკი საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის მიერ ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება ნეგატიურად აისახება დსთ-ს თავისუფალ ზონაზე.**

ის, რომ რუსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ყველა ქვეყანას ევრაზიის საბაჟო კავშირში ეპატიჟებოდა, არავისთვის უცხო არ არის. მოსკოვი ცდილობდა, ევრაზიული კავშირის იდეა ისე მოეხვია თავს ყოფილი რესპუბლიკებისთვის, რომ იძულებითი მექანიზმები არ გამოაშკარავებულიყო. ამ მხრივ განსაკუთრებით ინტერესს იჩენდა უკრაინის მიმართ, რომელსაც მოსკოვი შეღავათიან გაზს ჰპირდებოდა.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ რუსული მუქარა ძალაშია. თუმცა, საინტერესოა, რამდენად ქმედითი იქნება ეს მუქარა და სამი ქვეყნის მიერ ასოციირების ხელშეკრულებზე ხელმოწერა რა პოზიციაზე დააყენებს რუსეთს?! ამასთან, რუსული საბაჟო კავშირი როგორ კონკურენციას გაუწევს ევროპულ ბაზარს?

ექსპერტი **გია ხუხაშვილი** for.ge-სთან საუბრისას განმარტავს, რომ ევრაზიული საბაჟო კავშირი და ევროკავშირის ბაზარი ორი სხვადასხვა სამყაროა და აქ კონკურენციაზე საუბარი ზედმეტია.

**„იმედი ვიქონიოთ, რომ ეს იქნება მოკლე და საშუალოვადიანი და უკრაინა რამდენიმე წლის განმავლობაში შეძლებს თავისი ეკონომიკის მოდერნიზებას. უკრაინული ეკონომიკა ძალზე გაზოტეევადია, ეს კიდევ უფრო მაღალი რისკის ქვეშ აყენებს ამ ქვეყნის ეკონომიკას, რომ არაფერი ვთქვათ სეპარატიზმთან დაკავშირებით ქვეყანაში არსებულ დამანგრეველ პროცესზე. ასოციირების ხელშეკრულების გამო საქართველოში საზეიმო განწყობაა, დღეს შეიძლება ასეთი განწყობა გვქონდეს, მაგრამ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ თავისთავად ეს ხელშეკრულება არაფერს იძლევა, ეს ორლესული მახვილია, რომელიც ხსნის სერიოზულ შესაძლებლობებს და დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული. თუ ჩვენ მოვახერხეთ ეკონომიკის რეორგანიზაცია, კონკურენტუნარიანობა ეს იქნება ძალზე სერიოზული ბიძგი ქვეყნისთვის, მაგრამ, თუ ეს ვერ მოვახერხეთ, მაშინ პირიქით მოხდება, ჩვენ გავხდებით მთლიანად იმპორტზე დამოკიდებული, ანუ საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით მომხმარებელ ქვეყნად“,** — გვითხრა გია ხუხაშვილმა, რომლის თქმითაც, მაღალ საზოგადოებაში მიღება სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანი დღესვე არისტოკრატი გახდება, ეს ნიშნავს, რომ გეძლევა შესაძლებლობები, შენც შეესაბამებოდე აღნიშნულ საზოგადოებას.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ლევან კალანდაძე** for.ge-სთან საუბარში აბსურდულ და კონტექსტიდან ამოვარდნილად მიიჩნევს ლავროვის განცხადებას, თითქოს საქართველოსა და უკრაინის მიერ ევროპასთან ასოციირების ხელშეკრულების გაფორმებამ შეიძლება შეცვალოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი და ის წესები, რაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ არის დადგენილი. სინამდვილეში, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება სრულ ჰარმონიზაციაშია მსოფლიო ორგანიზაციის დებულებასა და მუშაობის წესთან.

ამავდროულად, არც საქართველოს და არც სხვა წევრ ქვეყნებს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, ასოციირების ხელშეკრულება არანაირად არ ზღუდავს, რომ სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, არაევროკავშირის წევრ ქვეყნებთან გააფორმონ ცალკე ინდივიდუალური ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ.

**„შეიძლება, პოლიტიკური ნიშნით გარკვეული ზეწოლის ფაქტები განხორციელდეს საქართველოსთან მიმართებით, მაგრამ საქართველო ამისთვის მზად უნდა იყოს. უნდა შემუშავდეს ანტიკრიზისული გეგმები და ღონისძიებების მთელი პაკეტი. უპირველესად, ეს არის ბაზრების დივერსიფიკაციის პრინციპი, რადგან რეალურად ჩვენ ხელმოწერის და ასოციირების ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ 500-მილიონიანი ბაზარი გვეხსნება და ამ პოტენციალის სწრაფად, შემჭიდროვებულ ვადებში გამოყენება მთლიანად საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული.**

**რუსეთის მიერ განხორციელებული ეკონომიკური სანქციების შედეგად გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი ზიანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას არ მიადგება. 2008 წელსაც კი რუსეთის სანიტარული ნორმების „დარღვევის“ საფუძველზე განხორციელებულმა ე.წ. ემბარგომ ქვეყნის ეკონომიკა ვერ ჩამოშალა. რუსული საბაჟო კავშირი წმინდა წყლის პოლიტიკური გაერთიანებაა და არანაირად — ეკონომიკური გაერთიანება. მისი შექმნის იდეაც „ველიკოდერჟავულ“ პრინციპებზეა დაფუძნებული.**

**ჩვენთვის ეს არ არის ევროკავშირის არანაირი ალტერნატივა, რადგან მარტივი ციფრებითაც რომ შევადაროთ, დაახლოებით ოთხჯერ მეტი მოსახლეობაა ევროკავშირში, დაახლოებით რვაჯერ მეტია მთლიანი შიდა პროდუქტი ევროკავშირის ქვეყნებში, ვიდრე ევრაზიული კავშირის ბაზარზე. ევროპასთან ასოციირება ნიშნავს თავისუფალ ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს დამკვიდრების საშუალებას, ხოლო ევრაზიული კავშირი ნიშნავს, რომ საქართველო იარსებებს, მაგრამ ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა პრაქტიკულად ნულოვანი ექნება“,** — აცხადებს ლევან კალანდაძე.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **დემურ გიორხელიძე** for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, ისევე, როგორც ევროკავშირის ზონის ქვეყნებს აქვთ საკუთარი რეგულაციები, ასევე, ევრაზიულ კავშირსაც საკუთარი რეგულაციები ექნება წევრი ქვეყნებისთვის, ხოლო განსხვავებული რეგულაციები - არაწევრი ქვეყნებისთვის. ამიტომ საქართველომ არანაირ ტრაგედიასა და სიამეზე არ უნდა იფიქროს, რადგან ასოციირების ხელშეკრულება დღეს, ხვალ და ერთი წლის შემდეგ არანაირ შედეგს არ იძლევა. ქვეყანა უნდა მოემზადოს იმისთვის, რომ ევროკავშირის ბაზარზე გასვლა და დამკვიდრება შეძლოს, რადგან ევროკავშირი საქველმოქმედო ორგანიზაცია არ არის და იქ საშეღავათო პირობები არ მოქმედებს.

**„ასე რომ, თავის თავს მიხედავენ ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრები. ჩვენ კი წავედით ერთი ზონიდან მეორე ზონაში. მკაცრი არ იქნება რუსული რეგულაციები, არანაირი საომარი მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ არ იქნება. უბრალოდ, ზონის გარეთ ხარ და მორჩა, აღარ გექნება შეღავათები. რისი დანაკარგი უნდა ჰქონდეს საქართველოს, ისედაც წაქცეული, დაჩოქილი ქვეყანაა, სადაც სიღარიბე დომინირებს, ტოტალური უმუშევრობაა. თუ ვინმეს ილუზიები აქვს, რომ დღევანდელი ხელმოწერილი ხელშეკრულება ხვალ შედეგს მოტანს, ცდება. ეს ხელშეკრულება გაძლევს შანსს, განვითარდე. თუ არაფერს გააკეთებ, დარჩება ფარატინა ქაღალდად. დღეს არაფერი არ გვაქვს ევროპაში გასატანი და არაფერს არ ვაკეთებთ, რომ ევროპულ სახელმწიფოს დავემსგავსოთ“.**

**ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ**

# ᲡᲐᲑᲐᲭᲝ ᲢᲐᲠᲘᲤᲘ — ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲑᲔᲠᲙᲔᲢᲘ ᲐᲡᲝᲪᲘᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒ

**რა ელოდება ქართულ პროდუქციას რუსეთში ასოციირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ? რუსეთი საკუთარი ბაზრის დაცვას აპირებს. რისგან და ვისგან აპირებს მოსკოვი თავდაცვას, ცოტა ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ქართველი მეწარმეები, ყოველი შემთხვევისთვის ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ.**

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანი დიმიტრი პესკოვი აცხადებს, რომ უკრაინის, მოლდოვასა და საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმებების გაფორმება ამ ქვეყნების სუვერენული უფლებაა, თუმცაღა, ხაზს უსვამს, რომ რუსეთი თავის ბაზარს დაიცავს ბრიუსელში გაფორმებული ხელშეკრულებების ნეგატიური შედეგებისგან.

**„პრეზიდენტმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ ყველაფერი დამოკიდებული იქნება დოკუმენტების ძალაში შესვლაზე, მათ რატიფიცირებასა და რეალიზაციაზე. საქმე არა დოკუმენტებში, არამედ საბაზრო გავლენაშია. ნეგატიური გავლენის შემთხვევაში ზომებს მივიღებთ“,** — განაცხადა პესკოვმა.

როგორც ცნობილია, ხელშეკრულების სრულად ძალაში შესვლა 2015 წლისთვის არის ნავარაუდევი, თუმცა, 3-4 თვეში ამოქმედდება შეთანხმების ნაწილი, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება. რუსეთის მხრიდან შესაძლო საფრთხეებზე საქართველოს პრემიერ—მინისტრს ბრიუსელშიც შეახსენეს. ირაკლი ღარიბაშვილი დარწმუნებულია, რომ ამ მიმართულებით პრობლემა არ იქნება

**„მას შემდეგ, რაც ჩვენ მთავრობაში მოვედით, დავიწყეთ ურთიერთობა რუსეთთან. რუსეთმა კი, თავის მხრივ, გამოავლინა პოზიტიური თანამშრომლობა. ასე რომ, გართულების წინაპირობას ვერ ვხედავ, რომელიც შეიძლება წამოვიდეს რუსეთიდან“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც შეიძლება ქართულ პროდუქციას დაემუქროს, ეს რუსეთის მხრიდან გაზრდილი საბაჟო ტარიფები იქნება. ექსპერტები კრემლის ასეთ ნაბიჯს არ გამორიცხავენ, მაგრამ განსაკუთრებულ საფრთხეს მაინც არ ელიან. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ცენტრის თავმჯდომარე რომან გოცირიძე რუსეთის მუქარის მიუხედავად, მისი გავლენის შესუსტების ფონზე, მნიშვნელოვან ბარიერებს არ ელის. მისი აზრით, ერთადერთი



ბერკეტი საბაჟო ტარიფების დაწესებაა, თუმცა, მოსკოვი იმაზე მაღალ განაკვეთს ვერ შემოიღებს, რასაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს. ევროპული პერსპექტივის გათვალისწინებით, 30-40 მილიონის საგადასახადო ტვირთი რუსეთის ბაზარზე, ქართული ექსპორტის მასობრივად შემაფერხებელი ვერ გახდება.

**„ასოციირების ხელშეკრულება პოსტსაბჭოთა ეპოქის დასასრულია. განსაკუთრებით თვალშისაცემია უკრაინაში მიმდინარე პროცესების ფონზე. მას ორმაგი ძალა აქვს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ უკრაინა დიდი ევროპული სახელმწიფოა, არამედ იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთის მიერ უკრაინის ნაწილის ანექსიამ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისადმი რუსეთის პრეტენზიებს წერტილი საბოლოოდ დაუსვა. საქართველო აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელმაც ამ სიტუაციიდან გამოსვლა მოასწრო. ბალტიის ევროპაში ინტეგრაციის შემდეგ, ეს მეორე დიდი ტალღაა“,** — აღნიშნა რომან გოცირიძემ „ჯიბისისთან“ საუბარში.

ექსპერტი საქართველოს პროგრესულ სამყაროში დაბრუნების შემდეგ „ვალდებულებებით“ ურთიერთობას კატეგორიულად ეწინააღმდეგება, რაც აკნინებს საქართველოს სურვილს, საკუთარი ნებით იყოს ევროპული ოჯახის ნაწილი. ურთიერთობა მხოლოდ პრაგმატულ ფინანსურ სარგებელზე არ უნდა იყოს გათვლილი. მიუღებელია — „ფული რეფორმების სანაცვლოდ“, რაც დამამცირებელია, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამები ასე ფორმულირდება.

**ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ**

◎ სამედიცინო დაზღვევა

# მარილმოსაყრელი მაღლი

**დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში შარშან განხორციელებულმა მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამამ არასახარბიელო მატერიალურ მდგომარეობაში მყოფ მრავალ ჩვენს თანამემამულეს ბევრი სიკეთე მოუტანა და, ჩვენი აზრით, ამ მნიშვნელოვანი სოციალური აქტით მთავრობას ნამდვილად აქვს საამაყო. ამავე დროს, ისიც ცხადია, რომ ამჟამად მოქმედი პროგრამის გარკვეული ასპექტები ერთგვარად დასახვეწია, რის გამოც ოპონენტები როგორც მის არსებით ნაკლოვანებებზე, ისე მთლიანად სადაზღვევო ბიზნესისთვის არსებულ საფრთხეებზე მიუთითებენ.**

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ქვაკუთხედი ისაა, რომ მისით სარგებლობა შარშან გაზაფხულიდან საქართველოს ყველა იმ მოქალაქეს შეეძლო, რომელსაც სამედიცინო დაზღვევის რაიმე სხვა პოლისი არ ჰქონდა. ამასთან, ამ პროგრამით მოსარგებლე პირს, ანუ ბენეფიციარს, კვალიფიციური სამედიცინო სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურების მისაღებად, პროგრამაში ჩართულ მისთვის სასურველ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვის უფლება აქვს. მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის აუცილებლობის შემთხვევაში, მასში ავტომატურად ერთვება პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი, მაგრამ რომელიმე კონკურენტულ სამედიცინო დაწესებულებაში დაურეგისტრირებელი პირიც.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მნიშვნელობაზე უფრო სრული წარმოდგენის შესაქმნელად აღვნიშნავთ, რომ 2012 წლის მონაცემებით საქართველოში სამედიცინო პოლისი ორ მილიონზე მეტ კაცს არ ჰქონდა და მისი განხორციელების ძირითადი მიზანი მოსახლეობის სწორედ ამ ფენის სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა იყო. მანამდე კი, 2009 წლის №218 დადგენილებით, სახელმწიფო დაზღვევა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ, კომპაქტურად დასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირებზე, ასევე მზრუნველობამოკლებულ ბავშვებსა და საქართველოს სახალხო არტისტებზე ვრცელდებოდა. 2012 წლის №165 დადგენილებით კი სახელმწიფომ 0-5 წლის ასაკის ბავშვები, ასაკით პენსიონერები, სტუდენტები და შეზღუდული შესაძლებლობების პირები ჩართო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა თავიდანვე ორ ეტაპად გაიყო, რომელთაგან პირველი 2003 წლის 28 თებერვალს, ხოლო მეორე 1 ივლისიდან ამოქმედდა, რის შედეგად თავდაპირველად გაწერილ ოჯახის ექიმის მომსახურებასა და ბაზისურ ანალიზებს ამბულატორიული და გადაუდებელი სტაციონარული სამედიცინო მომსახურება, გეგმიური ოპერაციები, ასევე ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა, მშობიარობის ხარჯის ნაწილობრივი დაფინანსება დაემატა.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შარშანდელი ანგარიშის თანახმად, 2012 წლის ბოლო მონაცემებით, სახელმწიფო დაზღვევით მთლიანად მილიონ 618 ათას კაცზე მეტმა ისარგებლა, ხოლო კერძო და კორპორაციული დაზღვევით სამედიცინო მომსახურება 3625 კაცმა მიიღო, შარშან წლის პირველ ნახევარში კი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ბენეფიციარი მილიონ 347 658 კაცი გახდა. მოყვანილი ციფრებით თვალნათლივ ჩანს, რომ ქვეყანაში ჯანმრთელობის დაზღვევის სფეროში უმეტესი დატვირთვა სახელმწიფო ჯანდაცვის დაზღვევის პროგრამის წილად მოდის, რომლიდანაც კერძო სადაზღვევო კომპანიები, ფაქტობრივად, მისგან გათიშულნი არიან. აღნიშნული გარემოება ქვეყანაში სადაზღვევო სისტემის არსებობას მთლად კითხვის ნიშნის ქვეშ თუ არ აყენებს, ყოველ შემთხვევაში, მას სამოქმედო ასპარეზს უაღრესად რომ კვეცავს, ცხადია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმაც, რაც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ ანგარიშშიცაა მითითებული. ამასთან დაკავშირებით **ფონდის სპეციალისტები ქვეყანაში კერძო სადაზღვევო სისტემის შენარჩუნების, თუმცა კი, ბაზარზე მოქმედი კომპანიების მიმართ მოთხოვნებისა და პროცედურების გამკაცრების რეკომენდაციებს იძლევიან. ეს მიდგომა სავსებით მართებულია იმ თვალსაზრისითაც, რომ როცა სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამაში კერძო კომპანიები იქნებიან ჩართულნი, სახელმწიფო ბენეფიციარისთვის განსაზღვრულ ფულად სახსრებს მათ ჩაურიცხავს, რის შედეგად ფინანსური რისკი (ანუ ზედმეტი ხარჯი) უკვე სადაზღვევო კომპანიებს და არა სახელმწიფო ბიუჯეტს დააწვება.**

ბუნებრივია, რომ სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება სამკურნალო პრეპარატებით უზრუნველყოფის გარეშე სრულიად წარმოუდგენელია. თანაც პაციენტის მკურნალობისთვის საჭირო ხარჯის ლომის წილი სწორედ მედიკამენტებზე მოდის, ქვეყნის ფარმაცევტულ ბაზარზე კი მოსახლეობის უმეტესობისთვის წამლების ფასი ძალიან დიდია. ამდენად, სამკურნალო პროცესის ეს უმნიშვნელოვანესი მდგენელი ბევრჯერ წინა პლანზე გამოდის. მართალია, ოფიციალურად კი არის დადგენილი, რომ მედიკამენტების ხარჯი ჯანდაცვისთვის გაღებული ფინანსური სახსრების დაახლოებით ნახევარია, რაც „ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის ანგარიშშიცაა აღნიშნული. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ „სადაზღვევო პაკეტის გაზრდა, რაციონალიზაცია აუცილებელ ფარმაცევტულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე უნდა იყოს მიმართული“, მაგრამ ეს გარემოება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჯერ-ჯერობით გათვალისწინებული არ არის, რაც ნებისმიერი ჩვენი მოქალაქისთვის კარგადაა ცნობილი, ვისაც სამედიცინო მომსახურების მისაღებად შესაბამისი დაწესებულებისთვის სათანადო თხოვნით მიუმართავს.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის კიდევ ერთი პრობლემა ხშირად მისი განმხორციელებელი ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების გადატვირთულობა და, რაც მთავარია, სამედიცინო მომსახურების ხარისხია. ექსპერტების შეფასებით, **ქვეყნის მასშტაბით სამედიცინო მომსახურების ხარისხი სათანადო სიმაღლეზე ჯერაც არ არის და, ზოგჯერ, უწინდელთან შედარებით, ზოგან გაუარესებულიც კია.**

ამდენად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დადებითი სოციალური მნიშვნელობა აშკარაა, თუმცა კი, გარკვეული ზემოჩამოთვლილი მიმართულებებით მუშაობის გააქტიურებაა საჭირო, რისთვისაც, უწინარესად, სახსრებია საჭირო.

მადლს, რომ იტყვიან, მარილის მოყრაც უნდა.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ ალიანჩალიანი

## როგორი იქნება მეტროსადგური „უნივერსიტეტი“?

**მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობასთან დაკავშირებით საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა. მშენებარე ობიექტის ტერიტორიაზე გუშინ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ილია დარჩიაშვილი იმყოფებოდნენ. მათ საზოგადოებას საერთაშორისო ტენდერის გამოცხადებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდეს.**

**ადგილზე წარმოდგენილი იყო ბანერები, თუ როგორ სახეს მიიღებს დასრულებული მეტროპოლიტენის ახალი სადგური, რომლის მშენებლობა 20 წლის წინათ შეჩერდა. ელგუჯა ხოკრიშვილის განცხადებით, სექტემბრის დასაწყისში უკვე გამოვლენილი იქნება კომპანია, რომელიც ახალი სადგურის მშენებლობას განახორციელებს. თავად მშენებლობის პროცესი ორი წელი გაგრძელდება და 2016 წლისათვის დასრულდება.**

**მისივე თქმით, ტენდერისათვის თანხას აზიის განვითარების ფონდი გამოყოფს. ინფრასტრუქტურის მინისტრმა წინასწარ ვერ დაასახელა, თუ რა თანხა იქნება გამოყოფილი. მისივე თქმით, ეს დამოკიდებული იქნება ტენდერში წარმოდგენილი კომპანიების შეთავაზებულ წინადადებებზე.**

**პროექტის ფარგლებში გაკეთდება გვირაბის რეაბილიტაცია, საერთო სიგრძით 2,6 კმ. მშენებლობის ფარგლებში მოეწყობა სადგურის მიწისქვეშა და მიწისზედა შენობების ამოსასვლელი ვაჟა-ფშაველას გამზირზე და სანდრო ეულის ქუჩაზე, გაკეთდება სალიანდაგო ხაზები, მოეწყობა ელექტროქვესადგური, ესკალატორები, სავენტილაციო და სადრენაჟო სისტემები; ასევე, სიგნალიზაციის, მართვისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემები; გაკეთდება სათადარიგო ამოსასვლელი.**

**2016 წლისთვის მშენებლობის შედეგად, „დელისისა“ და „ვაჟა-ფშაველას“ მეტროს სადგურებს შორის მეორე გვირაბიც ამუშავდება, ხოლო დედაქალაქში არსებულ 22 მეტროსადგურს, ახალი, 23-ე სადგური დაემატება. „უნივერსიტეტის“ მეტროსადგურის პროექტი ესპანურმა საკონსულტაციო ფირმამ „ეუროესტუდიომ“ მოამზადა.**

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

● **როგორც კი სიხარულისგან გამოწვეული ეიფორია ოდნავ შემინელდა (ბრიუსელის დროით AM 13სთ 45წთ), ვაშლოვანის ქუჩაზე განთავსებულ ტაღიელას ხილბოსტანის ბუწიკთან მივედი. იქ უკვე იდგნენ ჩვენი კლუბის წევრები, ასოცირების ხელშეკრულების შედეგად მიღებულ 4,3%-იან ეკონომიკურ ზრდაზე ბაასობდნენ და პლასტმასის ერთჯერადი სირჩებით შარშან შემოდგომაზე საგარეჯოს factoryობაზე გამოხდილ ვისკის აგემოვნებდნენ.**

**კონსტრუქციული მსჯელობის შემდეგ 40%-იან ზრდაზე შევჯერდით!**

● **ბრაზილიელები ნარმანიას პონტში გავიდნენ მეორე ტურში.**

● **10-ცენტიანები მიბოძეთ, გეთაყვა, ლიფტისთვის.**

● **ახლა ვუყურე PSP-ს გათამაშებას. დოლურაში იმდენი ბილეთი იყო, გავგიჟდი. ე.ი. რამდენ ადამიანს სჭირდება საფთიაქო მომსახურება, თანაც 20 ლარზე ზევით შენაძენი (სხვა აფთიაქებზე აღარაფერს ვამბობ).**

● **აი რა უქნა ბრაზილიას გაევროპელებამ. ეთამაშათ ტრადიციული, ბრაზილიური ფეხბურთი. ჩვენც წყნარად ვიქნებოდით და ისინიც!**

● **ნორლანდი რომ აშშ-ის ადმინისტრაციის საგანგებო განცხადებას გვპირდებოდა, გადაგვაგდო?**

● **„მოგების გარეშე“-ს გარეშე, ქართული ნაყინი თუ გინახავთ ვინმეს, არ მოგერიდოთ, დაწერეთ განაცხადი გინესის წიგნში მოსახვედრად.**

● **„ავადსახსენებელი კომუნისტებიო“, — ტელეეკრანიდან ამბობს ერთ-ერთი მუზეუმის ერთ-ერთი „წონიანი“ თანამშრომელი, იმ კეთილსახსენებლების გასაგონად და საამებლად, ვინც მას იმ მუზეუმის შენობის წართმევას და ქუჩაში დატოვებას უპირებს, რომელიც კომუნისტების დროს დაარსდა (1932 წლის 5 აგვისტოს), კომუნისტების დროს მიიღო შესანიშნავი შენობა (1950 წელს), კომუნისტების დროს შეივსო ქართველ მხატვართა შედევრებით, რუსული, ევროპული თუ აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების ძეგლებით და კომუნისტების დროსვე ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი ცნობილი და მდიდარი მუზეუმი. უმადურობასაც ხომ აქვს საზღვარი?**

● **ევროპაში ქართველების დეპორტები დაიწყო. გუშინ სამშვილიანი ქალი გამოადეპორტეს. ევროპული სტანდარტები კიდევ იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ტაქსისტები უმუშევრები დარჩებიან, იმიტომ რომ მათი მანქანები, ისევე როგორც ბევრი ჩვენგანის, არ შეესაბამება ევროსტანდარტს. გლეხი ველარ შეძლებს ბაზარზე პროდუქტის გატანას იმიტომ, რომ რომ ჩვენი შხამქიმიკატები და ფერმები არ შეესაბამება ევროსტანდარტს. საქართველო გადაიქცევა ერთ დიდ ბანაკად ჩინელების, ინდოელების და აფრო-ამერიკელებისთვის და ზუსტად ამ ევროსტანდარტის გამო ვერ ვეტყვით უარს, ისევე როგორც ვერ თქვა უარი ევროპამ და დღეს პარიზიეთიოპიას უფრო გავს, ბრიუსელი კი მოზამბიკს! არ ვარ რასისტი, უბრალოდ რეალობის კონსტატირებას ვახდენ. ვართ მზად? კი ბატონო! და კიდევ ერთი: სახელმწიფოს მოუწევს ყველა უკანონოდ განთავისუფლებულის სამსახურში აღდგენა. ესეც ევროსტანდარტია!**

● **ფეისბუკში ეკა გიგაურს ვკითხე, რა გადაგიხადეს საკონსტიტუციოში ადვოკატობაზე ამისთანა, წინაპრების სისხლით შენარჩუნებული მიწების გასხვისება რომ დააკანონებინე-მეთქი და დამბლოკა!**

**აი, გამჭვირვალეობა, აი, განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი და აი, დემოკრატია!**

**არადა, ერთი კითხვა მქონდა კიდევ და ვერ მოვასწარი. არის თუ არა ადამიანების უფლებების და თავისუფლების დარღვევა ალტერნატივის გარეშე ID ბარათების იძულებით თავსმოხვევა და ამაზე რატომ არ ჩივის საკონსტუციოში. არ მაინტერესებს, შიგ ჭინკა ზის თუ სატანა, არ მინდა თქვენი დანომრვა და მორჩა.**

**და თუ ამ მხრივ უმცირესობა ვარ, სად არის ანტიდისკრიმინაცია თუ უმრავლესობა, რატომ არ ითვალისწინებს ხელისუფლება?**

**როგორ მჭირდებოდა გიგაურის სარჩელი?**

**უი, გამახსენდა, ამაში ფულს არ ისდიან!**

**ამოკრიბა**

**გია გაბრიჭიძემ**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ღარიბაშვილი: რუსეთმა თავისი დაპირება შეასრულა

**საძართველოს პრემიერს მიაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის კონსტრუქციულმა პოლიტიკამ შექმნა პირობები ევროკავშირთან ასოციირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერისათვის**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მიესალმა მოსკოვის „კონსტრუქციულ პოლიტიკას“, 27 ივნისს ბრიუსელში საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოციირების შესახებ შეთანხმება და თავისუფალი და ყოვლისმომცველი ვაჭრობის ზონის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის კონტექსტში.

**„ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩვენ ვისწრაფვოდით რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობისაკენ. რუსეთმაც გვიჩვენა თავისი კონსტრუქციული პოლიტიკა ჩვენთან დამოკიდებულებაში. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი სამართლიანია. რუსეთი დაგვპირდა, რომ არ ჩაერევა საქართველოს ევროკავშირთან ასოციირების პროცესში და, ვფიქრობ, მან თავისი დაპირება შეასრულა. ჩვენ ვერ ვხედავთ ამ პროცესში გართულებების სიგნალებს“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის მიცემულ ინტერვიუში 27 ივნისს.

აღსანიშნავია, რომ ადრე ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომაც ასევე განაცხადა ბრიუსელში პრესკონფერენციაზე, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ბრიუსელში ვიზიტის დროს იანვარში ბაროზოს თხოვნის პასუხად, „დაგვპირდა რომ არ ჩაერევა“ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებში.

ამავე დროს, ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ, მიუხედავად თბილისის მისწრაფებისა, გააუმჯობესოს ურთიერთობა მოსკოვთან, საქართველოს არა აქვს განზრახული, წავიდეს დათმობაზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხში.

**„ბუნებრივია, ჩვენ ვრჩებით პრინციპული მთავარ საკითხში, რომელიც შეეხება ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებს. მაგრამ ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას ამ მიმართულებით. ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ჩვენ გავააქტიურეთ და გავაუმჯობესეთ ჩვენი სავაჭრო ურთიერთობანი რუსეთთან და რომ დაიწყოს ნდობის აღდგენის პროცესი“,** — განაცხადა ღარიბაშვილმა.

## „წყალქვეშა დინებანი“

**საძართველოს მიერ ევროკავშირთან ასოციირების შესახებ ხელმოწერასთან დაკავშირებით თბილისის ცენტრში 27 ივნისის საღამოს გაიმართა გრანდიოზული კონცერტი ღია ცისქვეშ. შეკრებილებს დროებით გამართული სცენიდან მიმართეს მილოცვით პრემიერმა, სპიკერმა, პრეზიდენტმა, აგრეთვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, რომელსაც, ყველა გამოკითხვით, აქვს საქართველოს მოქალაქეთა ნდობის ყველაზე მაღალი რეიტინგი (90 პროცენტზე მეტი).**

საქართველოს მოქალაქეებსა და მთავრობას პირდაპირი ეთერით ტელეარხ „რუსთავი-2“-ზე ლონდონიდან ასევე მიულოცა ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ევროკავშირთან ხელშეკრულების ხელმოწერას უწოდა „ისტორიული გარღვევა საქართველოსთვის“. აღსანიშნავია, რომ თავისი საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ შარშან შემოდგომაზე, სააკაშვილმა დატოვა საქართველო და მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა.

თავის მიმართვაში ექსპრეზიდენტმა ასევე გაიხსენა საფრთხე რომელიც, მისი სიტყვებით, დგას საქართველოს წინაშე. ამ შემთხვევაში მას მხედველობაში ჰქონდა ექსპრემიერი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც, როგორც საკაშვილი ამტკიცებს, აგრძელებს ქვეყნის მართვას კულისებს მიღმა.

**„შორიდან მართვა, ჩრდილოვანი კაბინეტიდან — ეს არ არის ევროპული ტრადიცია... დღეს საქართველოს მართავს „გაზპრომის“ მთავარი კერძო აქციონერი. რა კავშირი აქვს „გაზპრომს“ პუტინთან, ეს ჩვენ ყველამ შესანიშნავად ვიცით, ამიტომ არის წყალქვეშა დინებები, რომლებიც ჩემში შეშფოთებას იწვევენ“,** — განაცხადა ექსპრეზიდენტმა.

**„ჩვენ ახალ მთავრობას დავუტოვეთ ის, რომ ჩვენ ვართ პრაქტიკულად დამოუკიდებელი რუსეთისგან ენერგეტიკული თვალსაზრისით, ჩვენ ვიყავით დამოუკიდებელი რუსული ბაზრისგან და ესეც არ უნდა შეიცვალოს, უნდა გავაგრძელოთ ევროპული ბაზრის ათვისება. რუსეთი ყოველთვის დასჯის გაზპრომისეულ მთავრობას, როდესაც რაიმე არ მოეწონება. დღეს ჩვენ, როგორც არასდროს, უნდა ვიყოთ კონსოლიდირებული“,** — გაგვაფრთხილა ექსპრეზიდენტმა.

ამავე დროს, საქართველოს პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველო ვერ შეძლებდა, მოეწერა ხელი ევროკავშირთან შეთანხმებისთვის, რომ 2012 წელს ხელისუფლებაში არ მოსულიყვნენ ბიძინა ივანიშვილი და მისი კოალიცია „ქართული ოცნება“, რომელმაც, როგორც ღარიბაშვილმა 27 ივნისს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს განუცხადა, თავისი „კონსტრუქციული პოლიტიკით მიაღწია იმას, რომ რუსეთისგან მიიღო გარანტია, არ ჩაერეულიყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის შეთანხმების ხელმოწერის პროცესში.

თავად ბიძინა ივანიშვილი, რომელსაც გადადგომის შემდეგ შარშან პრაქტიკულად არ აქვს ურთიერთობა ჟურნალისტებთან, არ აკეთებს კომენტარებს.

## „რისკის წილი“

**გიორგი მჭედლიშვილი, ასოციირებული პროფესორი საქართველოს უნივერსიტეტიდან, მიიჩნევს, რომ პრემიერ ღარიბაშვილის გზავნილი რუსეთის მიერ თავისი დაპირების შესრულების შესახებ, შეიძლება შევაფასოთ შემდეგნაირად: საქართველო მიდის დასავლეთისკენ და არ სურს ურთიერთობათა გართულება რუსეთთან, ამიტომ თუ ურთიერთობა მაინც გართულდება, ეს არ იქნება „ მაქსიმალურად კონსტრუქციული საქართველოს“ ბრალი.**

**„რასაკვირველია, ამ განცხადებებში არის რისკის წილი: თუ რუსეთი მაინც გადაწყვეტს, „სერიოზულად მოკიდოს ხელი საქართველოს საქმეს“, მაშინ ადვილად შეიძლება ბრალი დასდო პრემიერს არაშორსმჭვრეტელობასა და რუსეთის მოტივების უცოდინარობაში. სამწუხაროდ, უკანასკნელი სცენარის ალბათობა არსებობს, ვინაიდან შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ მხოლოდ „უკრაინის საქმეებით“ დაკავება არ აძლევს რუსეთს შესაძლებლობას, მოახდინოს ყურადღების კონცენტრაცია საქართველოზე“,** — განაცხადა მჭედლიშვილმა ჩვენთვის მოცემულ ინტერიუში.

ამავე დროს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ობიექტური რეალობის ნაწილია ისიც, რომ საქართველოზე რუსეთის ზემოქმედების ბერკეტები არც ისე მრავალრიცხოვანია, როგორც ადრე. მიუხედავად იმისა, მჭედლიშვილი ვერ ხედავს საფრთხეს იმაში, რომ თუ ასოციირების შეთანხმების დადებითი ასპექტები გავლენას მოახდენენ საზოგადოების ცხოვრებაზე, მისი აზრით, უმალვე, რუსეთს აქვს „დრო იმისათვის, რომ ელოდოს, როდესაც საქართველოში დაიწყება ევროსკეპტიციზმი“.

და მხოლოდ მაშინ, ამბობს პოლიტოლოგი, მოსკოვი შეძლებს უფრო ეფექტიანად გამოიყენოს „მსუბუქი ძალის“ ინსტრუმენტები. თუმცა, ხაზგასმით აღნიშნავს მჭედლიშვილი, მოსკოვს პარალელურად ყოველთვის ექნება ხელში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რუკა, და შეეცდება, მოახდინოს თბილისის შანტაჟირება ოკუპირებულ რეგიონებში სიტუაციით.

**„ასევე უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ თუ მთელ საქართველოში ევროპისადმი დადებითი დამოკიდებულება 75-80 პროცენტის დონეზეა, იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობა უმთავრესად ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენს, მაგალითად, სომხები და აზერბაიჯანელები, ესე იგი სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი, ეს ციფრი მხოლოდ დაახლოებით 30 პროცენტია. არ არის გამორიცხული, რომ რუსეთს მოუნდება, გამოიყენოს ეს რუკა, მით უმეტეს, რომ თებერვლის რეფერენდუმი მოლდოვის გაგაუზიაში შეიძლება გამოდგეს პრეცედენტად. შეგახსენებთ, რომ მაშინ ადგილობრივმა გაგაუზიის მოსახლეობამ არ მოიწონა მოლდოვის ევროინტეგრაცია“,** — განაცხადა ექსპერტმა დასკვნაში.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე

### ინდოეთის რაკეტამ ორბიტაზე ხუთი უცხოური თანამგზავრი გაიყვანა

**ხუთი აპარატი, რომლებიც ოთხ ქვეყანას ეკუთვნის, გაიყვანეს კოსმოსში ინდოეთის რაკეტამზიდით. გაშვება წარმატებული იყო, თუმცა, სტარტის დრო ცოტა შეცვალეს კოსმოსურ ნაგავთან შეტაკების შიშით.**

### კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა გამოვიდა წინაღადებით სამხრეთ კორეასთან შერიგების შესახებ, თავდაუსხმელობის შესახებ შეთანხმებაზე უარის თქმიდან ერთი წლის შემდეგ

**სამხრეთი კორეის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, ფხენიანმა შესთავაზა სეულს შეაჩეროს ყველა სამხედრო მოქმედება ერთიმეორის წინააღმდეგ, მათ შორის „ფსიქოლოგიური ომი და პროპაგანდა“.**

**ჟურნალისტები კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის განცხადებას, რომელმაც ამ დღეებში ახალი რაკეტები გამოცადა, აფასებენ, როგორც მცდელობას, გული მოულბონ ჩინეთს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის სი ცზინპინის სამხრეთი კორეის დედაქალაქში ვიზიტის წინა პერიოდში.**

### ბრაზილიის შტატიდან, სადაც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩი უნდა გაიმართოს, ათი ათასზე მეტი მცხოვრები გასიზნეს წყალდიდობის გამო

**გასულ კვირას რიუ-გრანდი-დუ-სულის შტატში ორჯერ მეტი ნალექი მოვიდა, ვიდრე ეს ჩვეულებრივად ერთ თვეში ხდება. შტატიდან, სადაც ამ დღეებში უნდა გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩი, საჭირო გახდა მცხოვრებლების სასწრაფოდ გაყვანა. სერიოზულად დაზიანდა მეზობელი რეგიონი სანტა-კატარინა: აქ ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ საგანგებო მდგომარეობაც კი გამოაცხადა.**

### უკრაინაში გამოამჟღავნეს იანუკოვიჩის ოქროს ბაგონის საიდუმლო

**ნატურალური სიდიდის ორ კილოგრამიანი ოქროს პრეს-პაპიე პურის ბატონი აღმოაჩინეს იანუკოვიჩის რეზიდენცია „მეჟიგორიეში“ მისი უკრაინიდან გაქცევის შემდეგ. გამოირკვა, რომ ბატონი აჩუქეს ექსპრეზიდენტს მისი დაბადების დღეს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ასევე იტყობინებოდნენ მჩუქნელის სახელსაც.**

**ჩემისთანა** ადამიანისთვის, ვისაც სასპორტო წესებსა და, მით უმეტეს „ბრძოლა წესების გარეშესა“ და „ჯიუ ჯიცუ“–ზე უკიდურესად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, ტერმინი „შერეული ორთაბრძოლები“ კიდევ უფრო გაუგებარს ხდის იმ სპორტის ესთეტიკას (ჩემთვის – კლასიკურად ძალადობრივს), რომელსაც ეს სახელწოდება თავის თავში აერთიანებს. გარკვეულ ინფორმაციას ისევ პროფესიონალი სპორტსმენი თუ მომაწვდის, თუმცა, ეს სიცხადე „წესების გარეშე“ ბრძოლისადმი ჩემს დამოკიდებულებას მაინც არ ცვლის. შერეული ორთაბრძოლების ჩემპიონისთვის, ექვსი „მსოფლიო ქამრის“ მფლობელისთვის, ოცდაათი წლის ქუთაისელი **დავით ტყეშელაშვილისთვის** კი მთავარია აზარტი და ადრენალინი, რომელიც ტკივილსაც ავიწყებს და უფრო მეტ მოტივაციას სძენს, ვიდრე ეს წინა თამაშში ჰქონდა. დავითს ტენისი უყვარს. სამუსიკო განათლება არა აქვს, თუმცა, ხუთ ინსტრუმენტზე უკრავს, კარგი სმენა აქვს... მაგრამ ოჯახურმა ტრადიციამ ჯერ კიდევ ბავშვობაში გადააწყვეტინა პროფესიული არჩევანი. მან ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და ამჟამად აშშ–ში მოღვაწეობს. მამა რომეო ტყეშელაშვილი რაგბისტია, დავითი და მისი ძმა ემზარი ჭიდაობას გაჰყვნენ. ამბობს, რომ მისი არც ერთი ბრძოლა დედას და მეუღლეს არ უნახავთ, რადგანაც იციან, რომ ძალიან ინერვიულებენ. თავად კი ის იცის, რომ შეჯიბრება სერიოზული ფიზიკური ზიანის მიყენებით შეიძლება დასრულდეს. ყველაფრის მიუხედავად, იგი „წესების გარეშე“ სპორტული ცხოვრების წესს მაინც არ ნანობს.

# დავით ტყეშელაშვილის „ბრძოლა წესების გარეშე“

– **შარშან** ნოემბერში ერთ-ერთი ჩემპიონატში ბრძოლის დროს, რასაც ჩვენ შინაურად „ჩხუბსაც“ ვუწოდებთ, ნეკნი ჩამიმტვრიეს. – ამბობს დავითი. – მაგრამ იმ წამს ვერ ვიგრძენი, რადგანაც მოზღვავებულმა ადრენალინმა ტკივილის შეგრძნება გადაფარა. მერე მოვიშუშე და ახლა ისევ კარგ სპორტულ ფორმაში ვარ.

**– მოდით, სპორტული ანაბანიდან დავიწყოთ. რა შედის „შერეულ ორთაბრძოლებში“ და რატომ არსებობს ტერმინი „ბრძოლა წესების გარეშე“?**

– შერეულ ორთაბრძოლებში შედის სპორტული სახეობები – ჭიდაობა, კრივი და სხვა. ყველა ასე ვთქვათ, ძალისმიერი სპორტი ამ საბრძოლო ხელოვნებაშია გაერთიანებული.

**– ჰო, მაგრამ კრივსაც და ჭიდაობასაც თავისი წესები აქვს.**

– „ბრძოლას წესების გარეშესაც“ აქვს თავისი

წესები, ოღონდ იმდაგვარი, რაც სხვა სპორტში წარმოუდგენელია. აკრძალულია თვალის დაზიანება, ხერხემლის არესა და მუცლის ქვედა მხარეს ზიანის მიყენება. ბრძოლა ადამიანის გონების დაკარგვამდე შეიძლება გაგრძელდეს. სახელწოდებაც იმიტომ აქვს ასეთი – ყველაფერი დაშვებულია. მაგალითად, კრივის დროს მხოლოდ ხელის დარტყმაა ნებადართული და არ შეიძლება ჭიდაობა; ჭიდაობა არ ჰგავს კრივს. ამ სპორტში კი მოწინააღმდეგეს შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობაით სცემო კიდეც, რომელიც მისთვის ძალიან მტკივნეული იქნება და მანამდე ატკინო, სანამ მეტოქე არ დაგნებდება.

**– ამგავრად შესაძლებელია ადამიანს ძალიან სერიოზული ფიზიკური ზიანი მიადგეს და მოკვდეს კიდეც.**

– რასაკვირველია, არსებობს ამის საშიშროებაც, რაც – არაერთხელ დაფიქსირებულა. თუმცა, ტრავმატიზმით ფეხბურთიც გამოირჩევა. მაგრამ ფეხბურთში ტრამვას არ ელიან, არ იციან, როგორ დაეცემიან მინდორზე. წესების გარეშე ბრძოლაში კი წინასწარ იცი, რომ რაღაც დაგიზიანდება. შინაგანად მზად ხარ ამისთვის.

**– ჰო, მაგრამ ფეხბურთში ფიზიკური ზიანის მიყენება პაექრობის მიზანმიმართული ამოცანა არაა.**

– დიახ ასეა. მაგრამ რა გაეწყობა, ეს ასეთი სპორტია. უკრაინისა და სხვა ქვეყნების ჩემპიონატებზე მებრძოლი ქალებიც მინახავს და დარბაზში მაყურებლი ქალებიც არანაკლებ აზარტულები არიან. ამ ბრძოლაში კი, ბუნებრივია, არსებობს წესებიც – სანამ ადამიანი ხელს იატაკს არ დაარტყამს და არ გაგრძნობინებს, რომ ცუდადაა, მანამ ბრძოლის გაგრძელება შეაძლებელია. თავად მსაჯიც ყურადღებითაა და ორთაბრძოლას მებრძოლის გონების დაკარგვამდე აჩერებს, რა თქმა უნდა, თუ დროულად ჩარევა მოასწრო. თუ ადამიანმა დანებების ნიშანი მოგცა, მაშინვე უნდა გაუშვა ხელი. მე პირადად მქონია შემთხვევა უკრაინაში ერთ-ერთი ორთაბრძოლის დროს, როცა მეტოქემ ვერ მაჩვენა, რომ მნებდებოდა, მაგრამ მე თვითონ მივხვდი მაშინვე, რომ გონება დაკარგა. ამიტომ მე თავად მივანიშნე მსაჯს, რომ მოსულიყო და მიეხედა ადამიანისთვის. ბუნებრივია, მერე სამედიცინო ჩარევაც გახდა საჭირო.

**– რატომ არ აირჩიეთ, ასე ვთქვათ, სპორტის უფრო ცივილიზებული სახეობა?**

– არადა, მე „წესების გარეშე“ სპორტისთვის არ დავბადებულვარ. სპორტსმენები, როგორც წესი, პირდაპირ თავის კარიერას „წესების გარეშე ბრძოლით“ არ იწყებენ და თუ დავაკვირდებით იმას, თუ ვინ როგორ მოხვდა ამა თუ იმ სპორტში, აღმოვაჩენთ, რომ ზოგი წარმატებული მოჭიდავე ან წარმატებული მოკრივე იყო; ან ნებისმიერი საბრძოლო ორთაბრძოლების წარმომადგენელი, თან ისიც გასათვალისწინებელია რომ, ეს ძალიან აზარტული სპორტის სახეობაა და ამიტომ შემოთავაზებებიც ბევრია. თუმცა ასეც ხდება: როდესაც სპორტსმენს საკუთარ საბაზისო სპორტში არც თუ ისე კარგი მაჩვენებლები აქვს, სწორედ ამ მიზეზით „შერეული ორთაბრძოლების ხელოვნებაზე“ გადაერთვება ხოლმე, რომელსაც ჩვენ „ბრძოლას წესების გარეშეს“ ვუწოდებთ. უფრო სწორად, მართებული ტერმინი ასე ჟღერს – „შერეული ორთაბრძოლების ხელოვნება“.

**– სპორტის ამ სახეობაში როგორ აღმოჩნდით?**

– მე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ვარ. ბავშვობისას ჭიდაობაზე დავდიოდი და უკვე 18 წლიდან საქართველოსა და საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და პრიზიორი ვიყავი. საერთაშორისო კლასის მოჭიდავე სწორედ კლასიკურ ჭიდაობაში გავხდი. 22 წლის ვიყავი, როცა მეგობრებმაც და სპორტის მესვურებმაც წესების გარეშე ბრძოლებში მონაწილეობა მირჩიეს. საქართველოში ჩატარებულ შეჯიბრში მონაწილეობა მივიღე, ბრძოლა მოვიგე კიდეც და ამის შემდეგ იმის სურვილი გამიჩნდა, რომ მეტი დრო დამეთმო სპორტის ამ სახეობისთვის და საერთაშორისო ასპარეზზეც გავსულიყავი. ამ ეტაპზე შემოთავაზებები მაქვს ჯიუ ჯიცუს მსოფლიო ფედერაციიდან, პარალელურად ვმონაწილეობ შეჯიბრებებში აშშ-ის სხვადასხვა შტატებში.მაქვს. პროფესიული „გრაფლინგის“ (ჯიუ ჯიცუს შეჯიბრების სახელწოდება) ლიგაში მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ რვა შეჯიბრზე ვიყავი მიწვეული, სადაც რვაჯერვე ჩემპიონის ტუტულს დავეუფლე. სხვადასხვა წონით კატეგორიაში ექვსი ქამრის მფლობელი გავხდი, მათ შორის ზემძიმე წონასა და აბსოლუტურ წონით კატეგორიაშიც.

**– როგორ წარმოიშვა სპორტის ეს სახეობა?**

– ჯიუ ჯიცუს წარმოშობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ ჯიუ ჯიცუს (ყველა საბრძოლო პრაქტიკის, იგივე „მარტიან არტის“ უძველესი ფორმა) ინდოეთში მივყავართ, სადაც ის ბუდისტმა ბერებმა გამოიგონეს და მას საბრძოლო ხელოვნების დედას უწოდებენ. ბერებმა განავითარეს მოძრაობები, რომელიც წონასწორობასა და გამძლეობას ეფუძნებოდა, ოღონდ იმ ხერხით, რომელიც ძალასა და იარაღს გამორიცხავდა. მოგვიანებით ჯიუ ჯიცუ ჩინეთში განვითარდა, შემდეგ იაპონიაში, სადაც მან უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა, ვიდრე წარმოშობის ქვეყანაში. იგი სამურაებმა თავდაცვის გამორჩეულ ფორმად აითვისეს და გადაიქცა არა მარტო ბრძოლის, არამედ ხელოვნების ფორმად, ცხოვრების წესად, რომელიც ხაზს უსვამდა მებრძოლის ქცევის წესს და ეს წესი „ბუშადოს“ სახელითაა ცნობილი. გააერთიანეს რა ისეთი ღირებულებები, როგორიცაა ლოიალობა, სამართლიანობა, სიწმინდე, ტექნიკა, ზომიერება, ღირსება, თავდაჯერებულობა და პატივისცემა, იაპონელებმა ბრძოლის ამ მეთოდს „ჯიუ ჯიცუ“ დაარქვეს, რაც იაპონურად „მშვიდ გზას“ ნიშნავს.

ფეოდალური სისტემის დასასრულს იაპონიაში ჯიუ ჯიცუ თავის დასასრულს მიუახლოვდა. ამასთანავე მისგან განშტოებებად საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა ფორმები ჩამოყალიბდა. მაგალითად: აიკიდო, კარატე და ძიუდო. მაგრამ ამ ფორმებმა დაკარგა ის მთავარი ღერძი, რაც მათ, როგორც საბრძოლო ხელოვნებას, აერთიანებდათ. 1915 წელს ჯიუ ჯიცუს იაპონელი ოსტატი ესაი მეადა კომა, რომელსაც „ცონდე კომას“ უწოდებდნენ, ბრაზილიაში გადასახლდა, სადაც იაპონური დიასპორის დაამარსებელი გახდა. ის დასახლდა ბელემ დო პარაში, სადაც შეხვდა გასტაო გრაციეს – ბრაზილიელ პოლიტიკოსს და რვა შვილის მამას, რომელიც ჯიუ ჯიცუს ენთუზიასტი გახდა. თავისი 19 წლის უფროსი ბიჭი მან კობას მიუყვანა, რათა ბიჭისთვის „მარტიალ არტის“ საიდუმლოებები ესწავლებინა. მეადა კობა რიო დე ჟანეიროში გადასახლდა, დაიწყო მწვრთნელობა და ბრძოლა იმისთვის, რომ ამ სპორტის ეფექტიანობა დაემტკიცებინა. 1925 წელს მან რიოში პირველი Academia Gracie de Jiu-Jitsu გახსნა. 1940–2004 წლებში გრაციების ოჯახმა უამრავი შეჯიბრება მოიგო და ჯიუ ჯიცუ თავისი განვითარების პიკზე აიყვანა. ამ ოჯახმა ჯიუ ჯიცუს ტექნიკა ისე შეცვალა, რომ საერთაშორისო ჯიუ ჯიცუს პრინციპებიც ტრანსფორმირდა. ტექნიკები კი ისეთი უნიკალური იყო, რომ სპორტის ეს სახეობა მისი განვითარების ხელშემწყობის ეროვნებასთანაა გაიგივებული და ეწოდება „ბრაზილიური ჯიუ ჯიცუ“, რომლის ილეთებსაც უკვე მთელს მსოფლიოში იყენებენ.

**– საქართველოში, როგორც ჩანს, ჯიუ ჯიცუსადმი ინტერესი არ არის.**

– არსებობს, სპორტსმენები ვარჯიშობენ კიდეც, მაგრამ საქართველოში არ ტარდება შეჯიბრებები ჯიუ ჯიცუში. ეს ცუდია. თუნდაც იმიტომ, რომ 2007 წელს მე და ჩემი კოლეგა გურამ გუგუნიშვილი შერეულ ორთაბრძოლებში (ე.წ. „ბრძოლა წესების გარეშე“) უკრაინის სახელით გამოვდიოდით. ჩვენ კი გვინდოდა შეჯიბრზე ჩვენი ქვეყნის სახელით გამოვსულიყავით. მაგრამ გამოსვლა უკრაინის სახელით გვიწევდა და თან საქართველოს ჯიუ ჯიცუს ლიცენზია არ ჰქონდა. მაგრამ რა თქმა უნდა, საქართველოს დროშა ყოველთვის თან გვქონდა და გვაცხადებდნენ, როგორც „უკრაინა-საქართველოს“ წარმომადგენლებს ანუ როგორც ლეგიონერებს. დღეს კი ჯიუ ჯიცუს შეჯიბრებებზე ამერიკის ყველაზე წარმატებული კლუბის სახელით გამოვდივარ და ამავე დროს უფლება მაქვს, ქართული სიმბოლიკის მაისური მეცვას და ხელში ქართული დროშა მეჭიროს.

**– ამგვარი სპორტის სახეობა, როგორც აღვნიშნეთ, დიდი ტრავმატიზმით გამოირჩევა. მუჰამედ ალიც კი, რომელიც დაავადდა, კრივის წესების შემსუბუქებას ითხოვს. ასაკის მომატებასთან ერთად, რა პერესპექტივა აქვს სპორტსმენს? როგორ ფორმაში იქნება იგი საპენსიო ასაკში?**

– საპენსიო ასაკში სპორტსმენის მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ უვლის იგი საკუთარ თავს, როგორი სირთულეების გადალახვა მოუწია და რა სახის ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა. მაგალითად, ლეგენდარული დენ სევერინი, რომელიც 50 წლისაა და 120 პროფესიონალურ ბრძოლაში მონაწილეობდა, რომელსაც მე ბავშვობიდან ვადევნებდი თვალს და ვგულშემატკივრობდი, ჩემთვის მისაბაძი სპორტსმენია. დღეს კი ერთ შეჯიბრებაში მივიღეთ მონაწილეობა და ერთად გავხდით პროფესიონალ „გრაფლინგ“ ლიგის ქამრის მფლობელები.სპორტის ამ სახეობაში კვების წესი, დისციპლინა წარმატების პირდაპირპროპორციულია. ამ სპორტში არიან 45 წლის ასაკის ადამიანებიც და საკმაოდ კარგი შედეგებითაც გამოირჩევიან. თუმცა, არიან ისეთებიც, ვინც მალევე მიატოვა ეს სახეობა. მე ჯერ არსად არ ვაპირებ წასვლას და მაღალი რისკების მიუხედავად, ამ საბრძოლო ხელოვნებაში დიდი ხნით დარჩენას ვგეგმავ.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ იორკი, აშშ**

◎ მუნდიალი – 2014



# ბედი ისეთი რამაა

**როცა დიდ მიზანს შეეჭიდები, იღბალმაც თუ არ გადმოგხედა, ვერაფერს მიაღწევ.**

ფორტუნას უნდა უმადლოდნენ, აბა რას, ბრაზილიური ფორუმის მასპინძლები, რომ პინილიას შორეული დარტყმის შემდეგ ბურთი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთა კარის ძელმა მოიგერია. სხვათა შორის, რკინის საგანი საქმეში პენალტების სერიაშიც ჩაერია, როცა ხარას საბედისწერო ცდის შემდეგ ჟულიუ სეზარის ფუნქცია შეასრულა. მთლიანობაში ჩილეს გუნდმა ტოლი არაფერში დაუდო გათამაშების ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტს და კაცმა არ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ არა ზემოთ აღნიშნული ეპიზოდები.

ასევე ქებას იმსახურებენ მექსიკელები, რომლებიც 88-ე წუთამდე ინარჩუნებდნენ მინიმალურ უპირატესობას „ნარინჯისფერებთკან“ – 1:0 (დოს სანტოსი), თუმცა ბოლომდე ვეღარ გაუძლეს ჰოლანდიელთა შტურმს და ღირსეულად დამარცხდნენ – 1;2 (სნეიდერი, ჰუნტელაარი – პენალტით).

სამწუხაროდ, პლეი-ოფებშიც აქტუალურია მსაჯობის თემა. ეს ეხება როგორც უკვე მიმოხილულ სამხრეთამერიკულ დერბის, ისე კოსტა-რიკა-საბერძნეთის მერვედფინალს, როცა 1:0-ზე კონკაკაფის წარმომადგენელთა სასარგებლოდ მსაჯებს გამოეპარათ ტოროსიდისის მიერ საკუთარ საჯარიმოში ხელით თამაში. კიდევ კარგი, საბოლოოდ სამართალმა პური ჭამა და დრამატული ბრძოლა პენალტებით კოსტა-რიკამ მოიგო – 5:3(1:1).

**კოლუმბია – ურუგვაი 2:0.**

**გიორგი ზოთაძე**

◎ წყალბურთი

# სამგუნდა საერთაშორისო

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ წყალბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი გაიმართა, რომელშიც სამი გუნდი მონაწილეობდა – მასპინძელთა ორი ნაკრები და ერთიც ჩინელებისა.** მეორე ნაკრებმა ორივე მატჩი დათმო – 3:15 და 6:18. მთავარი პრიზი საქართველოს პირველმა ნაკრებმა (ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, ზურაბ რურუა, მიხეილ ბაღათურია, გიორგი ხვედელიანი, ალექსანდრე რუსიშვილი, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, ბექა ქავთარაძე, მარკო ელაჩა, მარკო ელეზი, მარინო ფრანიჩევიჩი, დამირ ცრეპულია, მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე, მწვრთნელი იოვან პოპოვიჩი) მოიპოვა, რომელმაც ჩინეთს 14:9 სძლია.

**ვაჟა ნოსირელი**

◎ შვიდკაცა რაგბი

# უკეთ, ვიდრე ლიონში

**სამი კვირის წინათ საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა ევროპის გრან პრის სერიის პირველ ეტაპზე საფრანგეთის ქალაქ ლიონში იასპარეზა და მე-6 ადგილი დაიკავა. მაშინ ჩვენებმა ჯგუფში ბელგიელებთან წააგეს 12:14, ხოლო მე-5 ადგილისთვის პაექრობა შოტლანდიელებთან დათმეს – 15:21. რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში კი ჩვენებმა უკეთ ითამაშეს და მეოთხე ადგილზე გავიდნენ.**

შვიდკაცა „ბორჯღალოსნები“ მოსკოვში A ჯგუფში მოხვდნენ ინგლისის, საფრანგეთისა და რუმინეთის გუნდებთან. ჩვენები (ზურაბ ძნელაძე, გიორგი ფრუიძე, ალექსანდრე ხუციშვილი, ირაკლი მაჩხანელი, ლაშა მალაღურაძე, რეზო გიგაური, მერაბ კვირიკაშვილი, თედო ზიბზიბაძე, მერაბ შარიქაძე, ალექსანდრე ტუჩაშვილი) პირველივე მატჩში ტურნირის მომავალ გამარჯვებულთან ინგლისის ნაკრებთან დამარცხდნენ – 12:24 (ლიონში ბრიტანელებს 17:12 მოუგეს), რუმინეთს მშრალი ანგარიშით სძლიეს – 38:0, ხოლო შემდეგ საფრანგეთის ძლიერ გუნდს დამაჯერებლად აჯობეს - 31:14. საბოლოოდ ისინი ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ და მეოთხედფინალში მასპინძელებს დაუპირისპირდნენ. თავიდან რუსები 12:0 დაწინაურდნენ, მაგრამ ქართველებმა თამაშის ხასიათში გარდატეხა შეიტანეს და 19:17 გაიმარჯვეს მერაბ კვირიკაშვილის, ირაკლი მაჩხანელის და მერაბ შარიქაძის ლელოების წყალობით.

ნახევარფინალში „ბორჯღალოსნები“ ისევ ინგლისელებს შეხვდნენ და 5:33 დათმეს მატჩი. მესამე ადგილისთვის პაექრობაში შოტლანდიელებმაც დაგვჯაბნეს 38:12 და საბოლოოდ მე-4 ადგილს დავჯერდით.

**საბოლოო მდგომარეობა.** 1. ინგლისი, 2. პორტუგალია, 3. შოტლანდია, 4. საქართველო, 5. უელსი, 6. რუსეთი, 7. ბელგია, 8. საფრანგეთი, 9. იტალია, 10. ესპანეთი, 11. გერმანია, 12. რუმინეთი.

ევროპის შვიდკაცა რაგბის გრან პრის სერიის მორიგი ორი ეტაპი სექტემბერში მანჩესტერსა და ბუქარესტში გაიმართება.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ფარიკაობა

# პირადულს გუნდის ინტერესები ამჯობინა

**სასპორტო კომპლექს „არენაში“ დამთავრდა 23-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი. სანდრო ბაზაძემ, რომელმაც მოხმალავეთა პირად პირველობაში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა, 27 ივნისს**

**მეგობრებთან ერთად გუნდურ შეჯიბრებაში იასპარეზა და ბრინჯაოს მედალიც დაიმსახურა – მესამე ადგილისთვის პაექრობაში საქართველოს ნაკრებმა (სანდრო ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, საბა სულამანიძე, ლუკა ობოლაძე, მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე) ბელარუსს აჯობა 45:35, არადა, სანდრო ბაზაძე, რომელმაც წლეულს სკოლა დაამთავრა, იმ დღეს ქართულ წერაში ეროვნულ გამოცდაზე უნდა გასულიყო.** ევროპის ჩემპიონმა პირადულზე მაღლა გუნდის ინტერესები დააყენა (წინა დღეს ასევე მოიქცა რაპირისტი არჩილ უგულავა). ხმალში პირველობა რუსების მძლეველ (45:42) იტალიელებს ერგოთ. დანარჩენ დისციპლინებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**ვაჟები**

**რაპირა.** 1. რუსეთი, 2. იტალია, 3. ბელარუსი... 6. საქართველო (ლუკა ღაღანიძე, არჩილ უგულავა, სანდრო სიხარულიძე, გიორგი გელაშვილი).

**დაშნა.** 1. იტალია, 2. გერმანია, 3. რუსეთი... 10. საქართველო (ირაკლი ამბროლაძე, გიორგი ქაფიანიძე, მიქაელ მიქაელიანი, ლევან ფცქიალაძე).

**ქალები**

**რაპირა.** 1. რუსეთი, 2. პოლონეთი, 3. იტალია, 4. საქართველო (თეონა გოგლიძე, ლიკა ჯიჯეიშვილი, ანა მელია, მარიამ ცუხიშვილი).

**დაშნა.** 1. იტალია, 2. პოლონეთი, 3. რუსეთი... 5. საქართველო (ქრისტინე მიქაძე, ნუცა იაგორაშვილი, მარია ზაკირჩენკო, ანა ბიბიჩაძე).

**ხმალი.** 1. რუსეთი, 2. იტალია, 3. ბელარუსი... 5. საქართველო (თეოდორა კახიანი, მარიამ ფხაკაძე, ქრისტინე ნოზაძე, ელენე ნანობაშვილი).

**მედლები და გუნდური ადგილები:** რუსეთი – 15 (6 ოქრო, 4 ვერცხლი, 5 ბრინჯაო), იტალია – 12 (4, 4, 4), პოლონეთი – 7 (1, 3, 3), საქართველო – 2 (1, 0, 1), გერმანია – 1 (0, 1, 0), ბელარუსი – 3 (0, 0, 3), ავსტრია – 1 (0, 0, 1), უკრაინა – 1 (0, 0, 1).

**ლაშა დიდია**

**სურათზე: წინა რიგში მარცხნიდან: საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ზაზა მჭედლიძე, მერაბ ბაზაძე, იური ოსიპოვი; უკანა რიგში საქართველოს მოხმალავე ვაჟთა ნაკრები მარცხნიდან: მიხეილ მარდალეიშვილი, საბა სულამანიძე, სანდრო ბაზაძე, ლუკა ობოლაძე.**

**ავტორის ფოტო.**

◎ ავტოსპორტი

# ოჟიემ პოლონეთშიც მოიგო და ლიდერობა განიმტკიცა

**სებასტიან ოჟიემ ამ სეზონში მეხუთე რბოლა პოლონეთში მოიგო და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ზედიზედ მეორე ტიტულისკენ. ის ახლა უკვე 51 ქულას უგებს უახლოეს მდევარს, ფინელ თანაგუნდელ იარი-მატი ლატვალას, რომელმაც პოლონური ეტაპი (ბოლო ხუთ წელიწადში პირველად გაიმართა) მეხუთე ადგილზე დაასრულა.**

მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს მეტოქეებთან გამოკვეთილი უპირატესობა ჰქონდა - 22 სპეცმონაკვეთიდან 10 მოიგო და საბოლოოდ წუთით და 7.7 წამით აჯობა მეორეზე გასულ ნორვეგიელ თანაგუნდელ ანდრეას მიკელსენს. ამას შაბათის სპეცმონაკვეთებზე მუხრუჭები გაუჭირვეულდა, მერე კი შეცდომაც დაუშვა და გამარჯვების შანსიც დაკარგა.

რბოლის მეორე დღეს პრობლემები ლატვალასაც ჰქონდა, რომელსაც საკიდარი დაუზიანდა და მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა. მან მესამე დღის დასაწყისშვე შეძლო ორი ადგილით წინ წაწევა და კვარცხლბეკისთვისაც იბრძოლა, მაგრამ მხოლოდ 0.7 წამი დააკლდა მეოთხე ადგილამდე, რომელიც მიკო ჰირვონენმა დაიკავა.

მესამეზე ბელგიელი ტიერი ნოივილი გავიდა, რომელიც გამარჯვებულს ორ წუთზე მეტით ჩამორჩა. სხვათა შორის, პირველ დღეს მასაც მუხრუჭების პრობლემები ჰქონდა და მეათე ადგილამდე ჩამოქვეითდა, თუმცა შაბათს უკვე მესამე ადგილამდე დაწინაურდა, რაშიც ხელი მეტოქეთა უიღბლობამაც შეუწყო.

რალის მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარე სეზონი 13 ეტაპისგან შედგება, რომელთაგან მერვეს ივლისის ბოლოს ფინეთი უმასპინძლებს.

**პოლონეთის რალი**

1. სებასტიან ოჟიე (საფრანგეთი, ფოლკსვაგენი) 2:34:02.000,

2. ანდრეას მიკელსენი (ნორვეგია, ფოლკსვაგენი) (01:07.700,

3. ტიერი ნოივილი (ბელგია, ჰიუნდაი) 02:13.500.

**მრბოლთა კლასიფიკაცია**

1. სებასტიან ოჟიე – 166 ქულა; 2. იარი-მატი ლატვალა – 115; 3. ანდრეას მიკელსენი – 83;

**კონსტრუქტორთა თასი**

1. ფოლკსვაგენ მოტორშპორტი – 227 ქულა; 2. სიტროენ ტოტალ აბუ დაბი WRT – 109; 3. M-cgjhn WRT – 78.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ჩოგბურთი

# ქვაცაბაიას ვერცხლი

**თბილისელმა სოფიო ქვაცაბაიამ, რომელიც ჩოგბურთელ ქალთა ასტანის საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მეორე ნომრად იყო განთესილი, ზედიზედ სძლია მარია ცაკანიანს (რუსეთი), ქსენია დმიტრიევას (რუსეთი) და არინა ფოლტსს (უზბეკეთი).** ნახევარფინალში ქვაცაბაიამ იოლად აჯობა იულია ბრიზგალოვას (რუსეთი) და გადამწყვეტ პაექრობაში ვლადა ეკშიბაროვასთან (უზბეკეთი) ორ სეტში დამარცხდა – 2:6, 2:6.

ასტანაშივე 10.000-იან ვაჟთა ტურნირზე გიორგი ცივაძემ სერჟან ესენბეკოვს (უზბეკეთი), გიორგი ჯავახიშვილსა (საქართველო) და ვლადიმირ პოლიაკოვს (რუსეთი) კი აჯობა, მაგრამ ნახევარფინალში ბელარუს იარასლაუ შილას ვერ გასცდა – 6:7, 6:7.

**გივი გაგუა**

**სურათზე: სოფიო ქვაცაბაია.**

◎ უძველ დღეების ჩანაწერები

# სამშობლო ჩვენი ხვალ-ზეგ მეტად შეიმოსება!

## იმათთვის, რომელთაც ეს მოტივი მუხრან მაჭავარიანის „საბას“ გაახსენებს

**ღარიბაშვილი დიდხანს აღარ ალოდინეს და**
**ხელი პირველმა მოაწერა ხელშეკრულებას.**
**ულოცავენ და ულოცავენ ჩვენს პრემიერს**
**სახელმწიფო მეთაურები...**
**ირაკლი ფიქრით, რა თქმა უნდა, სამშობლოშია:**
**მზე ეფინება ახლა, ალბათ, ტურფა ტანძიას,**
**ეს აღარ არის, სულხან-საბავ,**
**დღეს ფანტაზია:**
**უკვე აღსრულდა ნატვრა შენი,**
**ნატვრა მრავალთა,**
**დაიქცა ყველა ჩვენი მტერი**
**და დასამარდა!**
**...უკვე თბილისში იჩქაროდა**
**ღარიბაშვილი,**
**ღიმილით, ოთხი თანამგზავრი,**
**უკან მოსდევდა,**
**იმის იმედით, რომ ევროპის**
**დამეგობრებით,**
**სამშობლო ჩვენი,**
**ალბათ, ბედად შეიმოსება!**

# აქოთებული ბაღი „გავიძღოლოთ“ ევროპისკენ?!

**სხვათა შორის, საირონიო და სახუმარო სულაც არ არის ეგ საკითხი, რომელიც ეხება ქალაქის ცენტრში, ზედ რუსთაველზე მდებარე ალექსანდრეს ბაღის უსუფთაობას, რაზეც რამდენჯერმე დავწერეთ და დავბეჭდეთ კიდეც ჩვენს გაზეთში, მაგრამ მერიისგან, როგორც იტყვიან, „ნოლ ვნიმანიე“. არა, მთლად უსუფთაობას ვერ დასწამებ აქაურობას, „მთავარი თემა“ ჩვენი გაავებისა, ერთ დროს რეჟისორ სანდრო მრევლიშვილის თეატრ „გლობუსის“ რამდენიმე წელიწადია კი, მიტოვებული, გაძარცული და საპირფარეშოდ ქცეული ხის შენობაა, საიდანაც გამოსული, განსაკუთრებით, ზაფხულში, სიცხეში (მით უმეტეს, თუ ქარი უბერავს), განავლისა და შარდის სუნი ისე აქოთებს იქაურობას, შეუძლებელია ბაღში ჩამოჯდომა, დასვენება, ბავშვების თამაში... რამდენჯერ გვინახავს უბნელებს, უცხოელი ტურისტები (აქ უამრავი უცხოელი ტურისტი მიმოდის) სახეზე ცხვირსახოცაფარებულები, აჩქარებული ნაბიჯით რომ გადიან ბაღიდან.**

აი, ეს ყველაფერი, როგორც გითხარით, სხვადასხვა დროს, დავბეჭდეთ ჩვენს გაზეთში. არა და არა! უგულავასა და მის „რაზმს“, თურმე, უფრო „დიდი საქმეები“ აწუხებდათ. დავბეჭდეთ ახალი ხელისუფლების დროსაც. არაფერი გეტკინოთ! არადა, რას ვითხოვთ? იმ გავერანებული შენობის აღებას (რაც სულ ნახევარი საათის საქმეა), რომ ვინმე „გაჭირვებული“ ტუალეტად ველარ ხმარობდეს ფარლალალა შენობას და ზემოთ, 9 აპრილის ბაღში მოისაქმოს, სადაც ტუალეტია!

ორი თვის წინათ იმედი ჩაგვესახა: ქართული პანტომიმის პატრიარქს ამირან შალიკაშვილს დაპირდნენ „ზემოთ“, ამ ადგილას თეატრს აგიშენებთო, იქვე, წინასწარ, „ვარსკვლავიც“ კი გაუხსნეს 75 წლის ამირანს, მიაკრეს კედლებს მისი სურათები, სხვადასხვა სპექტაკლების სცენები...

ჯერჯერობით დაპირება დაპირებად რჩება (თუმცა, ალბათ, აშენდება, მაშინ, იქვე, „ვარსკვლავსაც“ არ გაუხსნიდნენ ამირანს), მაგრამ სანამ ახლის მშენებლობას დაიწყებდეთ, **ადექით და დაანგრიეთ საპირფარეშოდ ქცეული ძველი შენობა, ხალხო, ქალაქის მერიავ!** ოდნავადაც არ ვაჭარბებ – უკვე შეუძლებელია ბაღში ყოფნა, სუნთქვა. არადა, ევროკავშირთან დაახლოება, რა თქმა უნდა, ჩვენი ქუჩებისა და ბაღების ევროპულ დასუფთავება-დაკრიალებასაც ითვალისწინებს, ანუ, გვინდა-არ გვინდა, ჩვენს „გაევროპელებას“.

ჰოდა, ამან მაინც შეგვაფუცხუნოს!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ ინფორმაცია

## საბავშვო ბაღებში აღსაზრდელების რეგისტრაცია 1 ივლისიდან იწყება

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა რამაზ სულამანიძემ განუცხადა.**

**საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 1 ივლისიდან 5 ივლისამდე რეგისტრირდებიან იმ სოციალურად დაუცველი ოჯახების 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები და სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ ფილიალის ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები (შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების), მოწერილობის საფუძველზე.**

**5 ივლისიდან 10 ივლისამდე რეგისტრირდებიან უკვე დარეგისტრირებული ბავშვების დედმამიშვილები. 10 ივლისიდან კი რეგისტრირდება უწყვეტად ყველა ბავშვი.**

**საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში განმარტავენ, რომ ახალი 2014-2015 სასწავლო-საალმზრდელო წლისათვის, ბაგა-ბაღებში ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელია ბავშვებისათვის, რომლებიც 2014 წლის 8 სექტემბრისთვის იქნებიან 2 წლის, ასევე, ბავშვები, რომლებსაც 8 სექტემბრისთვის არ შესრულებიათ 6 წელი.**

სანთელი

# კუკური ბერიძე



ორმოცი დღე გავიდა, რაც ცხოვრება დაასრულა კიდევ ერთმა ჭეშმარიტმა ქართველმა **კუკური ბერიძემ**.

მან კაცურად განვლო ეს წუთისოფელი, საკუთარ თავზე განიცადა სიდუხჭირის სუსხიც და ვაჟკაცობის ძალაც.

მისი მოუსვენარი ბუნება სიცოცხლის ბოლო წუთამდე ავსებდა მას ახალგაზრდული ჟინითა და შემართებით. მოყვასის სიყვარულის გამორჩეული უნარი ანდამატივით იზიდავდა სხვადასხვა თაობის ადამიანებს, რომლებიც მასთან ურთიერთობასა და მეგობრობას ეშურებოდნენ.

ყველგან, სადაც უმუშავია კუკური ბერიძეს, საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ, გამოირჩეოდა ღრმა პროფესიონალიზმითა და საქმისადმი საოცარი ერთგულებით, რითაც თავისი კოლეგების ღრმა პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა. ის არასდროს რჩებოდა მოვლენების პასიურ დამკვირვებლად და მუდამ მოვლენების ეპიცენტრში ტრიალებდა.

დღეს უკვე ტკივილითა და სევდით გვაგონდება 1961 წელი, როდესაც ფიდელ კასტროს თხოვნით ახალგაზრდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მივლინებულ იყვნენ კუბის დასახმარებლად.

მაშინ, საუკეთესოთა შორის უკეთესებს გაუღიმათ ბედმა, ენახათ თავისუფლების მშვენიერი კუნძული და დახმარებოდნენ მთავრობას ქვეყნის სტრატეგიული დარგის – სოფლის მეურნეობის აღორძინებაში.

ასეთი საპატიო მისია დაეკისრა 300 ახალგაზრდას, რომელთა შორის 10 ქართველი სპეციალისტი ერია. ერთი წლის შემდეგ ეს პირველი რაზმი სამშობლოში დაბრუნდა. თუმცა, 30 ახალგაზრდა, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი, კუბის მთავრობის თხოვნით დარჩა თავისუფლების კუნძულზე, რათა თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში კუბის მთავრობისათვის საექსპორტო-საკონსულტაციო დახმარება გაეწია. მათ შორის იყო კუკური ბერიძეც. კუბაში წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობისათვის მას მიღებული აქვს კუბის მთავრობისგან არაერთი საპატიო და სახელმწიფო ჯილდოები.

საქართველოში დაბრუნების შემდეგაც, 50 წლის მანძილზე კუკური ბერიძე კუბიდან იღებდა არა მხოლოდ ოფიციალურ მოწვევებს სხვადასხვა საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, არამედ როგორც კუბის მთავრობის მუდმივ მრჩეველსა და კონსულტანტს, მას ყოველთვიურად უგზავნიდნენ კუბის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ გამოცემულ პერიოდიკას.

რამდენად უფრო დასაფასებელია, როდესაც სხვა ერი მადლიერების და სიყვარულის ნიშნად იჩენს ასეთ ყურადღებას და პატივისცემას.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან მოღვაწეობა გააგრძელა სოფლის მეურნეობის სფეროში: მუშაობდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ტრესტში მთავარ აგრონომად, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამმართველოს უფროსად, წლების განმავლობაში კურირებდა თესლეულისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციას. საგულისხმოა, რომ 90-იან წლებში სწორედ მან, პირველმა აიმაღლა ხმა გენმოდიფიცირებული თესლების შემოტანის წინააღმდეგ. ის ღრმად განიცდიდა ქვეყნის ეკონომიკის, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის სისტემის მორღვევას. ამიტომ, უშურველად უზიარებდა თავის ცოდნას ახალგაზრდა თაობებს, ასწავლიდა ქვეყნის სიყვარულსა და ერთგულებას, რათა მათ წარსულის გამოცდილებაზე დაყრდნობით ახალი ქვეყნის შენება შეძლებოდათ.

ის არაერთგზის არის დაჯილდოებული სხვადასხვა პროფესიული ჯილდოებით, მათ შორისაა შრომის წითელი ორდენი, დამსახურებული აგრონომის წოდება (1986), კუბის მეგობრობის ორდენი (2001) და სხვა.

პატიოსნებითა და თავმდაბლობით გამორჩეული ვაჟკაცი, დიდი გულის მქონე მეგობარი, ჭირსა თუ ლხინში თანადგომის საოცარი უნარით, კაცი, რომელსაც მხოლოდ სიკეთის კეთება შეეძლო, დაგვიტოვა სინანული და ადამიანური სევდა ყველა იმათ გულში, ვისთანაც მას ოდესმა სიახლოვე და მეგობრობა ჰქონდა.

**მეთესლეობისა და სარგავი მასალის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის თანამშრომლები**

**შვილები რუსუდან, გიორგი (გოგი) რუხაძეები, შვილიშვილები დავით, თეიმურაზ ქურასბედიანები, და დოდო ჯღარკავა, რძალი შუქურა დუნდუა, სიძე შოთა დუნდუა, ძმისწულები გია, დალი, მანანა ჯღარკავები, დისწულები ემა, გულისვარდი, გიორგი, მევლუდ, ნინო, ნატო, ედიშერ დუნდუები, მულიშვილები თამაზ, მიშა, დოდო**

**ჩაჩუები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

### ფოთოლა შალვას ასული ჯღარკავა-რუხაძე

**პანაშვიდი 1, 2 VII, 18 სთ. დაკრძალვა 3 VII, 15 სთ. ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქუტირში.**

---

**თენგიზ კალანდაძე ოჯახით იუწყება**

### ფოთოლა ჯღარკავა-რუხაძის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ჭირისუფალთ.**

---

**ჟანა, ნონა, თემურ ბრელიძეები, მარინა კანდელაკი იუწყებიან კეთილშობილი ქალბატონის**

### ფოთოლა ჯღარკავა-რუხაძის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და სხვა ჭირისუფალთ.**

**რეკლამა**

**29 9-62-77; 568 82-09-84.**

**ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა დიდებული ქალბატონი, ჩვენი საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, მეცნიერი, პროფესორი, მრავალი თაობის აღმზრდელი, დიდი და მრავალსულიანი ოჯახის საოცრად მოყვასი, თავდადებული და ქომაგი ადამიანი, ღირსებებით სავსე გურამ და ლევან ქარაზანაშვილებისა და საუკეთესო ექვსი შვილიშვილის აღმზრდელი ბებია, კეთილშობილი, საიმედო ახლობელი, ნათესავი, მეგობარი თუ მეზობელი**

### ჯენეტი ჯებაშვილი-ქარაზანაშვილი

**ციალა, მარინა, თემურ ანდრიაძეები ოჯახებით.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ჩვენი საზოგადოების ღირსეულ წევრებს გურამ და ლევან ქარაზანაშვილებს დედის**

### ჯენეტი ჯებაშვილი-ქარაზანაშვილის

**გარდაცვალების გამო.**

---

**„კუს ტბის საზოგადოება“ თანაუგრძნობს უახლოეს მეგობარს ბონდო კალანდაძეს მეუღლის, შესანიშნავი ქალბატონის**

### მანანას

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს სხვა ჭირისუფალთ.**

◎ გამოფენა-გაყიდვა

# ინდოეთიდან – თბილი გრძნობებით

**რამდენიმეწლიანი უნებლიე პაუზის შემდეგ თბილისის საგამოფენო სივრცის „ექსპო ჯორჯიას“ ერთ-ერთ პავილიონში კვლავ გაიხსნა ინდოეთის ხელოსანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.**

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი, გამორჩეული კულტურისა და ხალხური რეწვის ძირძველი ტრადიციების მქონე ამ ქვეყნის ოსტატებმა, სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ნაირ-ნაირი საქონელი ჩამოიტანეს. ინდოელი ხელოსნების ჩამოტანილი ნაწარმის ჩამონათვალი მართლაც შთამბეჭდავია: ოქროსა და ვერცხლის ქალის ათასნაირი სამკაულები – ბეჭდები, ყელსაბამები, ძეწკვები, ხელისა თუ ფეხის სამაჯურები, ნაირფერი თავსაბურავები, ქსოვილები, მზა კაბები, ქვედაბოლოები, პერანგები, სამზარეულოსა და სადღესასწაულო ჭურჭელი, სურები, ლარნაკები, ჩაი, ფეხსაცმელი, ინტერიერის გაფორმების დეტალი, სასადილო ოთახების, კაბინეტების, საძილე ოთახების მოსაწყობი ხელით ნაკეთები ავეჯი და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი რამ.

იმის გარდა, რომ ინდოეთის ხელოსანთა მიერ წარმოებული საქონელი თავისთავად დიდებული სანახავია, ხალხს ამ ნაკეთობათა სიიაფეც იზიდავს: მაგალითად, თუკი კაბა, ვთქვათ, 10 ლარი ღირს, მაგრამ მყიდველი ერთბაშად ორს შეიძენს, მაშინ ფასი 7 ლარამდე დაიკლებს, რაც, დაგვეთანხმებით, ძალიან ხელსაყრელია, ამდენად ყველანი კმაყოფილნი რჩებიან. იგივე პრინციპი მოქმედებს ისეთ „მძიმეწონიან“ საქონელზე, როგორიცაა, ვთქვათ, ხელით ნაკეთები ავეჯი.

გამოფენა-გაყიდვაში ცალკე ოსტატების გარდა ინდოეთის რესპუბლიკის 50 კომპანია მონაწილეობს. ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, წარმოდგენილ საქონელზე განსაკუთრებულად დაბალი ფასები იმითაა განპირობებული, რომ ინდური ნაწარმის ეს რიგით მეათე, საიუბილეო გამოფენაა და, იმის გათვალისწინებით, რომ ინდური საქონელი მუდამ დიდი წარმატებით სარგებლობდა თბილისში, დაბალი ფასები და სხვა შეღავათები იქაურ ოსტატთა პატივისცემის ნიშანია. მანამდე კი ინდური ნაწარმის ერთი გამოფენა ბათუმში ასევე დიდი წარმატებით ჩატარდა და, საერთოდაც, არსებული გეგმით ასეთი ღონისძიებები გაცილებით ხშირად, ვთქვათ, წელიწადში ორჯერ მაინც მოეწყობა, რაც, ალბათ ორივე მხარისთვის მეტად სარგებლიანი იქნება.

ცალკე აღსანიშნავია, რომ „ექსპო ჯორჯიას“ საგამოფენო პავილიონში გარდა იმისა, რომ ლამაზი ნაკეთობები მნახველთა უდიდეს ინტერესს იწვევს და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს, არაჩვეულებრივი გარემოს შექმნას აგრეთვე ერთ-ერთ კუთხეში სახელდახელოდ მოწყობილ ესტრადაზე ხალხური ინსტრუმენტების პატარა ანსამბლიც უწყობს ხელს. ზღაპრული ინდური მუსიკის არაჩვეულებრივი ჰანგების თანხლებით, ხალხურ ცეკვებს კოხტა მოქნილი მოცეკვავეები ასრულებენ.

ინდოეთის ხელოსანთა ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა „ექსპო ჯორჯიას“ პავილიონში 6 ივლისადმე გასტანს.

**ნინო ალექსანდრია.**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უეჭარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ „სალხინოს“ მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

**„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.**

- **გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.**
- **გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.**

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად ღირსეულად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, თევდორე მღვდლის 13 ( აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის გვერდით). ტელ.: (995 32)224 00 99, 224 00 98.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

**ჯიბის ქურდს მოტოციკლეტი დაეტაკა, ლამის მიასიკვდილა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.**

**– მისი ნომერი ხომ არ დაგიმახსოვრებიათ? – ეკითხებიან დაზარალებულს პოლიციელები.**

**– არა, ამოიხრიალა მან, – მაგრამ აი, მისი საფულე.**

* * *

**მდიდარი ებრაელი პოლიციაში მივიდა:**

**– ვიღაც ნაძირალამ თავისი თავი ჩემს აგენტად გაასაღა და პროვინციაში იმაზე მეტი თანხა შეაგროვა, რამდენსაც ყველა ჩემი აგენტი ღებულობს. თქვენ დაუყოვნებლივ უნდა მოძებნოთ იგი.**

**– კი, ბატონო, აუცილებლად ვიპოვით და დავაპატიმრებთ.**

**– რატომ უნდა დააპატიმროთ? მე მისი სამსახურში მიღება მინდა!**

* * *

**– მეშახტეებმა კვლავ შიმშილობა წამოიწყეს.**

**– რატომ?**

**– შიათ.**

* * *

**თუ სიდედრი ორიოდე დღით გესტუმრათ ტანსაცმლით სავსე ორი ჩემოდნით, საქმე ერთობ უსიამოვნო მიმართულებას ღებულობს.**



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერომსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-36
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24